სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 თებერვალი 2008 №037 (3261) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე ამბავი სპარსული

ბასკო, შენ გეუბნები, გერმანელო, გაიგონეო...

ხავიერ კლემენტეს და ირანის ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომლობა ერთ მატჩსაც ვერ გასწვდა. ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის არგუმენტი, ირანში ჩემი ყოფნა რა საჭიროა, თამაშებს ვიდეოთი სახლში ვუყურებო, ირანელებმა ცუდ არგუმენტად ჩათვალეს.

ახლა ირანის ფეხბურთის ასოციაცია ისეთ მწვრთნელს ეძებს, იქაურ ფეხბურთს მეტი გულისყურით რომ მოეკიდება.

საქართველო და ევროპა: კოზიაშვილი იყო, კალაძეს ველით

ტოლობის ნიშანი კარგი ნიშანია

გუშინ, ჭიათურიდან ჯერ ქუთაისში, ბოლოს კი გორში გადატანილი „მაღაროელი“ — „ამერის“ შეხვედრით დასრულდა საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები.

თასის მფლობელმა და წყვილში აშკარა ფავორიტმა „ამერმა“ ოდენ ერთი ბურთით მოუგო პირველლიგელ მეტოქეს.

იქამდე თასის ფინალთა მიჯრით სამგზის მონაწილე „ზესტაფონმაც“ ერთი გოლით აჯობა „ოლიმპს“ და ერთბურთიანი სხვაობით მოუგო „დილამაც“ „ბორჯომს“. ხოლო ფავორიტი „დინამო“ სულაც უგოლოდ დაუზავდა ცხინვალის „სპარტაკს“...

ერთი სიტყვით, პირველ მატჩების მერე გვარიანი ტოლ-სწორობაა, რაც საპასუხო მატჩებში დიდ ბრძოლებს გვპირდება.

ჩვენც ეს არ გვინდა?!

მაღაროელი 12 ამერი

ბადრი კეკელიძის ფოტო



მსოფლიო ჩოგბურთელებისაა

ჯერ ჩოგბურთია სპორტი და შემდეგ ყველაფერი ერთად აღებული — ასე ფიქრობენ სპორტის მსოფლიო აკადემიის წევრები

13

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ამინდივით ცვალებადი ემოცია

ამერმა მაღაროელი გატეხა

გორი. 19 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

მაღაროელი 1:2 ამერი

0:1 ბიბილაშვილი (55ს.ჯ.), 0:2 დეკანოსიძე (84), 1:2 მდივნიშვილი (85)

მაღაროელი: მამარდაშვილი, ბიბილაშვილი, გ. ბრეგვაძე, შუკაკიძე, ეგაძე, ჯაჯანიძე (სეფერთელაძე 56), გ. ილურიძე, ტყემალაძე (ხაჭიპერაძე 56), მ. სამხარაძე (ტყებუჩავა 75), სევასტოპულო, მდივნიშვილი
სათადარიგონი: ბადურაშვილი, მგელაძე, ი. ზაბახიძე, ცუცქირიძე
მწვრთნელი: ამირან გაჩეჩილაძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, სილაგავა (დ. მჭედლიშვილი 75), დობროვოლსკი, დეკანოსიძე (ჩიმაკაძე 86), შალამბერიძე, ს. დავითაშვილი (ბესხი 64), რ. გოცირიძე
სათადარიგონი: გვენცაძე, ხუციძე, ხატიაშვილი, ცხოვრებაშვილი
მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა

გაფრთხილება: ილურიძე (11), ბრეგვაძე (46), მესხი (75)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

კახა შალამბერიძე

დათოვლილი გორი — ასე გადათეთრებული დახვდათ ჭიათურის „მაღაროელს“ და თბილისის „ამერს“ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. ერთი პირობა, თამაშის ხელახალ გადადებაზეც იყო ლაპარაკი, თუმცა საბოლოოდ ეს ვარიანტი გამორიცხა და გუნდებიც სათამაშოდ გაემზადნენ...

გეხსომებათ, „მაღაროელი“ — „ამერი“ აქამდე ორჯერ გადაიდო: ჯერ ჭიათურიდან ქუთაისში, მერე ქუთაისიდან გორში.

მოკლედ, მეტეოროლოგიურ პრობლემებზე ლაპარაკს ამით მოვრჩეთ და თამაშზე ვთქვათ...

უმთავარმწვრთნელებოდ მოთამაშე გუნდების შეხლა თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. ბადრი ბრეგვაძე და გიორგი ჩიხრაძე დისკვალიფიკაციების გამო ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს შეგირდების თამაშს და უნდა ითქვას, რომ სანერვიულო მთელი 90 წუთის განმავლობაში არ მოჰკლებიათ.

პირველ ტაიმში ამერელების უპირატესობა ჩანდა — მართალია, ჭიათურელებმაც გამოაჩინეს კლანჭები, როცა სახიფათო საჯარიმო ჩააწოდეს და ლადო ნადირაშვილმა ნახტომში მოიგერია ბურთი, თუმცა უმეტესად „ყვითლები“ მძლავრობდნენ.

სულიკო დავითაშვილს, რევაზ გოცირიძეს და კობა შალამბერიძეს სწორედ პირველ 45-წუთეულში შეეძლოთ „ამერის“ დაწინაურება, მაგრამ სამივეს მიზანმა უმტყუნა.

მცირე უპირატესობის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ „ამერი“ „მაღაროელს“ ერთი თავით სჯობდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პირველლიგელ ჭიათურელებს საკმაოდ კერკეტი და ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავთ...

ეს ყველაფერი მეორე ტაიმში უფრო გამოჩნდა, როცა მოედანზე თოვლი დადნა და გუნდებიც სწრაფად ამოძრავდნენ — „ამერს“ ხომ მიეცა მომენტები და არც „მაღაროელი“ ჩამორჩა მეტოქეს რამეში.

ვალერი ტყემალაძემ კარს ოდნავ გადააცილა, მირზა სამხარაძეს მეკარემ ორჯერ აუღო ძალიან სახიფათო დარტყმული — ეს მომენტები ჭიათურელებმა ათწუთიან მონაკვეთში შექმნეს და „ამერის“ პასუხმაც არ დაახანა...

55-ე წუთი იყო, დენის დობროვოლსკიმ შორიდან დაარტყა და გზად ბურთი ბექა ბიბილაშვილს მოხვდა ფეხზე — 0:1.

გოლი „სტუმრებმა“ იზეიმეს, „მასპინძლებმა“ კი გულდაწყვეტილებმა ჩაიქნიეს ხელი და...

ჯერ სად ხართ...

ზაზა მენთეშაშვილის აღმართულმა ალამმა ემოციები შეცვალა — „ამერი“ აღშფოთდა, „მაღაროელს“ კი იმედი მიეცა...

ჯერ კიდევ სად ხართ...

გვერდით მსაჯთან მირბენილ ფეხბურთელებს არბიტრი ლევან ფანიაშვილიც მიჰყვა, რომელმაც თანამსაჯთან გასაუბრების შემდეგ გაარკვია, რომ დობროვოლსკის დარტყმისას რევაზ გოცირიძე პასიურ თამაშგარეში იყო და გოლი ჩათვალა.

ისევ შეიცვალა ემოციები: „ამერმა“ გაიხარა, „მაღაროელმა“ კი მსაჯებს აღყა შემოარტყა — ფეხბურთელებს გუნდის წარმომადგენლებმაც აუბეს მხარი, ჭიათურიდან ჩამოსული მაყურებელიც ახმაურდა და...

მოკლედ, ცოტა ხანში ვნებები ჩაცხრა.

ეს იყო და, „მაღაროელი“ გასათანაბრებლად მიაწვა — ლევან მდივნიშვილს და მის თანაგუნდელებს რამდენიმე შანსი მიეცათ, მაგრამ ხან ლადო ნადირაშვილი ყოჩაღობდა, ხან მცველები, ხანაც უზუსტო დარტყმით მთავრდებოდა შეტევა.

გულხელდაკრეფილი არც „ამერი“ იყო — ჯერ გიორგი დეკანოსიძის პასი ვერ შეირგო კობა შალამბერიძემ (მეკარემ დაასწრო), მერე კი შალამბერიძის პასით პირისპირ დარჩენილ დეკანოსიძეს აჯობა მეკარემ.

84-ე წუთზე კი „დეკამ“ თავისი მაინც შეაგდო — მოედნის ცენტრიდან შეიყოლა დობროვოლსკის პასი, კარიდან გამოსულ მეკარეს ცარიელი კუთხე დაუჭირა და — 0:2.

წუთში „მაღაროელმაც“ გაიტანა — ლევან მდივნიშვილმა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, თუმცა პირველლიგელებმა ამის მეტი ვერაფერი შეძლეს...

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

საქართველოში სეზონი სათასო მატჩებით განახლდა. მეოთხედფინალური ეტაპის მთავარი შეხვედრა კი უდავოდ რუსთავში იყო: „ოლიმპი“ — „ზესტაფონი“ (0:1). მატჩის ერთადერთი გოლი იმერელთა ფორვარდმა ბექა გოცირიძემ შეაგდო და მასთან საუბარიც სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ...

ბექა გოცირიძე: ოლიმპს ბენაშვილმა გაუტანა

ნაკრებში არეულობა ვერ დავინახე

— ძნელი თამაში რომ იქნებოდა, ისედაც ცხადი იყო. „ოლიმპი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია. ცუდმა მოედანმა თავისი გავლენა იქონია, მოძრაობა და ბურთის გორება ჭირდა. ეტყობოდა, ერთი გოლის თამაში იყო — ვინც გაიტანდა, ის მოიგებდა. საბედნიეროდ, ეს ჩვენ შევძელით.

— ეს ერთადერთი გოლი კი ალექსი ბენაშვილის კარგი პასით შეაგდე...

— ფაქტობრივად, ბენაშვილის გოლად შეიძლება ჩაითვალოს. ისეთი პასი მომცა, არგატანა საცოდაობა იქნებოდა.

— როგორ ფიქრობ, ნახევარფინალი გარანტირებული გაქვთ?

— სტუმრად მოვიგეთ, თუმცა საპასუხო მატჩამდე გადაწყვეტილი არაფერია. რა თქმა უნდა, მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი ჩვენ გვაქვს.

— მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა საქართველოს თასზე და ჩემპიონატში თამაშს უარობდა...

— სიმართლე გითხრათ, ამის თაობაზე ტელევიზორიდან გავიგე და გაკვირვებული დავრჩი. კლუბის ხელმძღვანელებს ამ თემაზე ჩვენთან არ უსაუბრიათ. მთავარია, ექვსაფერი ცუდი უკან დარჩა და „ზესტაფონი“ ისევ არსებობს.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავ: კლაუს ტოპმიოლერმა ლატვიის ნაკრებთან გიხმო და მცირე ხნითაც გათამაშა...

— სასიამოვნოა, როცა ეროვნულ გუნდში გიძახებენ. რაც შეეხება, შედეგს, რა თქმა უნდა, ლატვიასთან შინ 1:3 წაგება ძალიან ცუდია, მაგრამ... ფეხბურთია და ხდება...

— ითქვა, ნაკრებში არაჯანსაღი სიტუაციაა. ეს სიმართლეა?

— ასეთი არაფერი შემიმჩნევია, ლატვიასთან სათამაშოდაც ჩვეულებრივად მოვემზადეთ და არანაირი არეულობა არ ყოფილა.

ნუგრი ლოლაძე

ფიფია-ჭელიძის ბათუმი გადაწყდა

ვინ იქნება შემდეგი?

გადაწყდა: გოგი ფიფია და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე სეზონის ბოლომდე „ბათუმში“ ითამაშებენ.

„ზესტაფონის“ ლიდერების ამბავი იცით — მათ სწორედ ზაფხულამდე აქვთ კონტრაქტი ფეროელებთან და ხელშეკრულების სამი წლით გაგრძელებაზე უარი თქვეს. ამის თაობაზე „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ ნამატჩევს იმერელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ გვითხრა, როცა ფიფია-ჭელიძის განაცხადში არყოფნის მიზეზი ვკითხეთ.

მოკლედ, აუტსაიდერ „ბათუმის“ შემადგენლობა ისე მოფერიანდა, ბარეორ უმაღლესლიგელს დაუყენებს თვალს. ზესტაფონელთა ჩერსპექტიული წყვილის გარდა ხომ ზღვისპირელებმა მეკარე ზვიად სტურუა და გიორგი თურმანიძე დაიმატეს. „ბათუმის“ მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია და დღე-დღეზე გაიგებთ მის გვარსო.

ილია ნანოგაფვილი

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოები

სირაძის მეორე ესპანურ-ნალჩიკური

ქართველებმა საპრიზო წაგეს

დავით სირაძემ რომ „პადერბორთან" კონტრაქტი გაწყვიტა და დღე-დღეზე ოფიციალურად გახდება „ნალჩიკის" ფეხბურთელი, უკვე ვწერდით. დავითი ესპანურ ლა მანგაშია ნალჩიკელებთან ერთად და გუშინ მეორე მატჩი ჩაატარა ამ გუნდის მაისურით — ლა მანგას თასზე მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ყაბარდოელებმა ნორვეგიულ „სტაბეკთან" 0:1 წააგეს.

სირაძემ და ალეკო ამისულაშვილმა სრულად ითამაშეს, გოგიტა გოგუა კი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და ყველაზე აქტიურიც იყო.

ისიც ვთქვათ, რომ სირაძე უკანდაწეულ ფორვარდად ირჯებოდა, გოგუა კი, საქართველო — ლატვიის მატჩის მსგავსად, ხან მარცხენა, ხანაც მარჯვენა გარემარბად.

გუშინვე ნალჩიკელთა მეორე შემადგენლობამ ყაზანის „რუბინთან" 2:2 ითამაშა.

ყაზანელთაგან 90 წუთი იბურთავა ლაშა სალუქვაძემ, ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია კი არ გამოჩენილან.

ილია ნანოგაშვილი

ალადაშვილმა თამასა აწია: გოლი და საგოლე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კახა ალადაშვილმა თავისი უკრაინული გუნდი იპოვა — თამაში არ გავა, რაიმე მნიშვნელოვანი არ გაახერხოს. ასე იყო ბოლო საკონტროლო მატჩშიც, რომელშიც „ხარკოვმა" 2:0 დაამარცხა „ალმათი".

ყაზახებთან მატჩი ქართველისთვის ყველაზე შედეგიანი გამოდგა — 21-ე წუთზე გრძელი გადაცემის შემდეგ, ჩვენებურმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიღო, საჯარიმოში შევიდა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა. კახა ამას არ დასჯერდა და 10 წუთში ასისტენტიც გახდა — ქართველმა ნახევარმცველმა მარჯვენა ფლანგზე ჩაირბინა და საჯარიმოში მყოფ აბდულაიეს ისეთი პასი მიაწოდა, ტოგოელს გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

ალადაშვილმა მატჩი სრულად ითამაშა, ხოლო ხარკოველთა მეორე ქართველი ოთარ მარცვალაძე ჯერ ისევ არ ჩანს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

შეყილაძეს წასვლამდე დანიშნავენ



ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად შეიქმნა 15-წლამდელთა ნაკრები — ეს უნდა გახდეს იმ ნაკრების საბაზო გუნდი, რომელიც 2009 წლის შემოდგომაზე ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს. ჯერ ოფიციალურად გადაწყვეტილი არ არის, ვინ იქნება ამ ნაკრების მწვრთნელი, თუმც, სავარაუდოდ, მას გელა შეყილაძე ჩაიბარებს.

„ოფიციალურად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გადაუწყვეტია, ვინ დაინიშნება მთავარ მწვრთნელად. ერთია, ამ ეტაპზე გუნდს მე მოვამზადებ და პორტუგალიურ ტურნირზეც წავიყვან. შესაძლოა, პორტუგალიაში წასვლამდე გადაწყდეს მწვრთნელის საკითხიც" — გვითხრა შეყილაძემ.

პორტუგალიაში კი ნაკრები ოთხთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს, რომელშიც ჩვენების მეტოქეები მასპინძელი, თურქი და სლოვაკი თანატოლები იქნებიან.

ტურნირი ქალაქ ლეირიაში 18-23 მარტს გაიმართება. ქართველები 19-ში თურქებს შეხვდებიან, 20-ში — მასპინძლებს, ხოლო 22-ში — სლოვაკებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრების დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებ

ქართველ ნახევარმცველ ლევან კობიაშვილის 10-წლიანი ბუნდესლიგური კარიერა და საიუბილეო 250-ე მატჩი უყურადღებოდ არც რუს ჟურნალისტებს დარჩენიათ. სანამ ჩვენებური და „შალკე" წუხანდელ საჩემპიონთალიგო მერვედფინალურ მატჩში პორტუგალიურ „პორტუსთან" ურთიერთობას გაარკვევდნენ, კობიაშვილის ინტერვიუ რუსულ ვებგვერდზე გამოჩნდა...

— ჯერ არ გვინახავს ისეთი დაუკმაყოფილებელი ლევან კობიაშვილი, როგორც ბოლო ნახევარი წელიწადია. რამდენად იქონია ტრავმამ გავლენა თქვენს განწყობაზე?

— ეს იყო ყველაზე რთული პერიოდი იმ 10 წლის განმავლობაში, რომელიც გერმანიაში გავატარე. წარმოიდგენეთ, რა დროს მომიხდა ამ პრობლემის დაძლევა — შარშან სულელურად დავკარგეთ ჩემპიონობა და გულდაწყვეტილი ვიყავი, თუმც ჩემპიონთა ლიგაში თამაშმა დამატებითი მოტივაცია მომცა და მინდოდა, რაც შეიძლება, ბევრი მეთამაშა.

— არადა, სეზონი შესანიშნავად დაიწყეთ — პირველივე მატჩში „შტუტგარტს" გაუტანეთ...

— და შემდეგ „დორტმუნდს" დერბი მოვუგეთ. მეტოქემ უკნიდან გამიკეთა ვარდნა — ჩვეულებრივი ბრძოლა იყო ბურთისთვის, თუმცა ბოლოს სერიოზული ტრავმად იქცა.

— რამდენიმე ტურში დაბრუნდით მოედანზე...

— შეცვლაზე ვითამაშე „დუისბურგთან". მანამდე მთელი კვირა ნორმალურად ვვარჯიშობდი და არანაირ პრობლემას არ ვგრძნობდი. სამ დღეში ასევე შეცვლაზე ვითამაშე „ჰერტასთან" და ისევ ის ადგილი დავიზიანე. ეს გამოდგა ყველაზე მძიმე ტრავმა ჩემს კარიერაში. სამედიცინო შემოწმებისას გაირკვა, რომ მეორე წრემდე ვეღარ ვითამაშებდი.

— ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაზე რას იტყვით?

— რთული პირველი წრე გვქონდა. ბევრი ფეხბურთელი გვყავდა ტრავმირებული და ამის გამო მწყობრში მყოფ ფეხბურთელებს დატვირთვა გაეზარდათ. სწორედ ამას ვაბრალებ საშინაო წაგებას „კარლსრუესთან" და გაუთვალისწინებელ ფრეებს. ამის გამო ლიდერებს საკმაოდ ჩამოვრჩით.

— ზამთრის პაუზისას „შალკემ" სამი ნახევარმცველი შეიძინა — ალბერტ შტრაიტი, ვისენტე სანჩესი და ზე რობერტუ. ამით ნახევარდაცვაში კონკურენცია გაიზარდა?

— არც ერთი ჩემს უშუალო კონკურენტად არ ითვლება, თუმც გუნდს ნამდვილად წაადგებიან. ვარჯიშებზე მაღალ ოსტატობას აჩვენებენ, მათი მოსვლით კმაყოფილი ვარ.

— შეგიძლიათ, იგივე თქვათ თქვენს ახალგაზრდა თანამემამულე ლევან ყენიაზე?

— ყენიას მსგავსი ტალანტი ევროპაში არ არის. სხვაგვარად 17 წლის ქართველი ბიჭი „შალკეში" ვერ მოხვდებოდა. თუმც მასზე ბევრი საუბარი ჯერ ნაადრევია. არ დაგავიწყდეთ, რომ მას ჯერ არ აქვს დიდ ფეხბურთელებთან თამაშის გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებში რამდენიმე მატჩი ჩაატარა. ყენია ჯერ „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს, ზაფხულიდან კი მთავარ გუნდში გადმოვა.

— მის მონაცემებს როგორ დაახასიათებდით?

— თავდამსხმელების უკან მოქმედი 10 ნომერია — ტექნიკური, სწრაფი, კარგი დრიბლინგით.

— რომელ ფეხბურთელს ამსგავსებთ — ლინკოლნს თუ რაკიტიჩს?

— არ იქნება სწორი მათთან შედარება, ლევანს თავისი სტილი აქვს.

— ყენიასთან ერთად ნაკრებშიც თამაშობთ. ეროვნულ გუნდში რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?

— წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. მომდევნო შესარჩევში ნაკრების დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებ, მით უფრო, რომ ახლა შედარებით იოლ ჯგუფში მოვხვდით, ვიდრე ევრო 2008-ზე.

— ნაკრების თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა იყოთ...

— არავის სიამოვნებს, ხუთი საათი იფრინოს და უკან წაგებული დაბრუნდეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე კარგად ვითამაშეთ შოტლანდიასთან და მოვიგეთ, თუმც შინ სამი მატჩი წავაგეთ. ახლახან ლატვიასთან ამხანაგურში 1:3 დავმარცხდით. ვფიქრობ, გუნდში ბევრი კვალიფიციური ფეხბურთელი გვყავს. უბრალოდ, მეტი მუშაობაა საჭირო, რომ ეს დავამტკიცოთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის საქმეც, ჰობიც და პროფესიაც

18 თებერვალს 65 წელი შეუსრულდა ცნობილ ფოტოკორესპონდენტ ალექსანდრე კოტორაშვილს. სპორტის მოყვარულები მას კარგად იცნობენ — „ლელო" ძველიც და ახალიც, „ქართული ფეხბურთი" და არაერთი სხვა გაზეთი, რომლებშიც მისი ფოტოები იბეჭდებოდა და იბეჭდება. უფრო ფეხბურთს და ჭიდაობას უსაფრდება და უამრავი საინტერესო ფოტოც აქვს გადაღებული. როდის მოჰკიდა ამ საქმეს ხელი ალექსანდრე კოტორაშვილმა? ამაზე თავად გვპასუხობს...



— ფოტოკორესპონდენტობა 1963 წლიდან დავიწყე. ფიზკულტურის ინსტიტუტში ფეხბურთის მწვრთნელობას ვსწავლობდი, სპორტი ყოველთვის ძალიან მიზიდავდა და... ერთ დღესაც ფოტოების გადაღება დავიწყე. პირველი სამი წელი ფოტოებს არცკი ვინახავდი და ამაზე ახლა გული მწყდება. ჩემი პირველი ფოტოები „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა, მერე იყო „ლელო" და „მართვე".

— ამდენი წელია, ამ საქმეს ემსახურებით და რას იტყვით თქვენს პროფესიაზე?

— ეს ჩემთვის ყველაფერია — საქმეც, პროფესიაც, ჰობიც. ძალიან საინტერესო საქმეა, ყოველი გადაღებული ფოტო ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

— კიდევ დიდხანს გეკეთებინოთ თქვენი საყვარელი საქმე და ქართული სპორტის არაერთი წარმატება აღგებეჭდოთ...

— დიდი მადლობა „სარბიელს", სადაც ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს.

ნუკრი ლოლაძე

ჩემს ათიანს მოედანზე დავამტკიცებ

პოლიგლოტი მუჯირი ლოკომოტივმა აალაპარაკა

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ბელგოროდის „სალიუტ-ენერგიას“ 3:0 მოუგო. რკინიგზელთა ქართველმა ახალწვეულმა

დავით მუჯირმა

პირველ ტაიმში ითამაშა. მოსკოველებმა კი გოლები მეორე ნახევარში გაიტანეს.

„ლოკომოტივის“ მეორე ქართველ მალხაზ ასათიანს ისევ არ უთამაშია.

მუჯირს აქამდე ინტერვიუების მიცემას კლუბი უკრძალავდა, თუმცა დუმილი კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან დაარღვია და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

— **როგორც შევიტყვეთ, რუსულის გარდა, კიდევ სამ ენაზე საუბრობთ...**

— სინამდვილეში ხუთ ენას ვფლობ: რუსულს, ინგლისურს, გერმანულს, სერბულს და, რა თქმა უნდა, ქართულს. ინგლისურის შესწავლა სკოლაში დავიწყე; გერმანული ავსტრიაში ვისწავლე; სერბული კი გრაცის „შტურმში“ ჩემი სერბი თანაგუნდელების და მწვრთნელის წყალობით ავითვისე. ეს ხალხი ჩემთან მენტალიტეტით ახლოსაა.

— **„ლოკომოტივში“ სერბული ალბათ აღარ დაგჭირდებათ...**

— რატომაც არა?! სპახიჩს სერბულ ენაზე ველაპარაკები. საერთოდ, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში მუდმივი გამოყენების მომხრე ვარ. პირადად მე ენების შესწავლა არ მიძნელდება.

— **გაზეთებიდან ვიცით, რომ თავის დროზე იტალიური „მილანი“ გიწვევდათ, თუმცა, თბილისის „დინამომ“ არ გაგიშვათ...**

— „მილანი“ არა, ტურინის „იუვენტუსი“. იტალიური კლუბის წინადადება მართლაც სერიოზული იყო, თუმცა „დინამო“ ნებისმიერ კლუბში ჩემი გადასვლის წინააღმდეგი იყო — მე ხომ ამ კლუბის საფეხურთო სკოლის აღზრდილი ვარ, ყველა ეტაპი გავიარე და ძირითად შემადგენლობაში ასე მოვხვდი. 1998 წელს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გავხდი. საბოლოოდ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობასთან შეთანხმება ვერ შევძელი. ამ დროში კი სატრანსფერო ფასიც დაეცა და ასე აღმოვჩნდი 2000 წელს მოლდოვურ „შერიფში“. ამ გუნდთან ერთად პირველივე წელს მოლდოვის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დავიკავე, მომდევნო სეზონში კი ჩემპიონობა მოვიპოვეთ, ხოლო მე 17 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, რაც ჩემი ამპლუის ფეხბურთელისთვის არცთუ ცუდი მაჩვენებელია.

— **17 გოლზე მეტი გაგიტანიათ?**

— სიმართლეს გითხრათ, არ მახსენდება. შესაძლოა, მხოლოდ საქართველოში.

— **და ავსტრიაში როგორ მოხვდით?**

— ავსტრიელთა მხრიდან ინტერესი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი მოლდოვის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთან პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას ერიდებოდნენ. ერთკვირიან გასინჯვაზე დათანხმება მომიხდა, თუმცა, მეორე სავარჯიშო დღის ბოლოს უკვე კონტრაქტის დეტალებს ვათანხმებდით. საერთო ჯამში, ოთხი სეზონი გავატარე „შტურმში“. უმაღლესი ლიგის კარგი, შეკრული გუნდი იყო. როცა ჩავედი, კლუბი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობდა, მაგრამ სამწუხაროდ, დამარცხდა. ისე კი, მთლიანად ავსტრიულ ფეხბურთშიც ყველაფერი რიგზე არ იყო, ჩემპიონატის დონეც დაეცა... გარკვეული დროის შემდეგ, სწორედ ამის გამო გადავწყვიტე ქვეყნის შეცვლა.

— **„ლოკომოტივის“ ახლანდელ თავკაც რაშიდ რახიმოვს ავსტრიულ მინდვრებზე არასდროს შეხვედრიხართ?**

— ავსტრიაში ჩემი ჩასვლის შემდეგ, ის დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში თამაშობდა. შემდეგ მწვრთნელი გახდა. მისი გაწვრთნილი „ადმირას“ წინააღმდეგ ჩემს გუნდს უთამაშია. ისე კი, ყოფილი საბჭოთა სივრციდან ავსტრიაში მყოფი ფეხბურთელები ერთმანეთთან ურთიერთობის შენარჩუნებას ვცდილობდით.

— **წარმოგედგინათ, რომ ოდესმე რახიმოვის ხელმძღვანელობით მოგიწევდა თამაში?**

— თეორიულად, ჩვენი გზები შესაძლო იყო, ავსტრიაშიც გადაკვეთილიყო, იქ რომ დავრჩენილიყავი. მისი ხელმძღვანელობით „ადმირა“ საკმაოდ კარგ შედეგს აჩვენებდა. რუსეთში რახიმოვთან შეხვედრას კი ნაკლებად ველოდი, თუმცა, სამარაში ჩემი გადასვლიდან ერთი წლის შემდეგ მან პერმის „ამკარი“ ჩაიბარა.

— **„ლოკომოტივთან“ შეგუება იოლად შეძელით?**

— თითქმის პირველივე დღიდან. და არა მარტო მალხაზ ასათიანის წყალობით. როცა ახალ გუნდში მიდიხარ, იქ არსებულ ატმოსფეროს მაშინვე გრძნობ. ფეხბურთში გატარებული 15 წლის განმავლობაში მცირე ნიუანსების დაჭერაც ვისწავლე. შემიძლია ვთქვა, რომ ახალ თანაგუნდელებთან და მწვრთნელებთან გატარებული დროის განმავლობაში „ლოკომოტივში“ თავს კომფორტულად ვგრძნობ. აქ ძალიან კარგად მიმიღეს. თავდაჯერებას ვგრძნობ. უპირველესად იმიტომ, რომ ვცდილობ, საქმეს პროფესიონალურად მივუდგე. ურთიერთობაც აქედან ყალიბდება. ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდს სარგებელი მოვუტანო. „ლოკომოტივში“ ძლიერი შეტევის ხაზია შეკრებილი. ბიჭებს კარგად ესმით ფეხბურთი და ურთიერთგაგებაც არ მიჭირს. რაც მთავარია, რახიმოვი ყველას თავდაჯერებას მატებს. შეუძლებელია, მისი არ გჯეროდეს. ჩვენ მართლაც შეგვიძლია დიდ მიზნებთან შეჭიდება.

— **ბუნებით ლიდერი ხართ?**

— საკუთარ თავზე საუბარი ძნელია. მაგალითად, „კრილია სოვეტოვში“ პირველ ათ თვეში კაპიტანი გავხდი. რუსული პრემიერლიგის კლუბში კაპიტნობა უცხოელისთვის და, მით უმეტეს, ქართველისთვის... მოკლედ, თავად განსაჯეთ.

— **იმიტომ გეკითხებით, რომ „ლოკომოტივში“ 10-ნომრიანი მაისურა აირჩიეთ. ათიანი კი, როგორც ვიცით, ფეხბურთში განსაკუთრებულია. ამ ნომრით გუნდის ლიდერები, კაპიტნები თამაშობენ...**

— ასეა, მაგრამ მოედანზე არა ნომერი, არამედ ადამიანი თამაშობს. ცენტრალური ნახევარმცველისთვის 10-იანი საკმაოდ სასურველი ვარიანტია. ჩემს მაისურაზე კარიერის განმავლობაში მხოლოდ ორი რიცხვი — 20 ან 10 იყო გამოსახული. „ლოკომოტივში“ თავისუფალი ნომრები შემომთავაზეს და 10 ავირჩიე, აი, სულ ეს არის. ჩემს შესაძლებლობებს კი თამაშით დავამტკიცებ.

ანჟიმ ქართველებს სამიანები ჩამოუტანა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა მახაჩყალის „ანჟიმ“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა — მეტოქე თამაზ პერტიას გაწვრთნილი ლატვიური „დინაბურგი“ იყო. მატჩი 1:1 მორჩა.

მოგეხსენებათ, „ანჟიში“ ბლომად ქართველები ირიცხებიან — რევაზ ბარაბაძემ და ვალერი აბრამიძემ 90-90 წუთი ითამაშეს, 30-ე წუთზე გიორგი ნავალოვსკიც გამოჩნდა, პირველ ტაიმში ითამაშა რევაზ ჯიქიამ და მეორე ნახევარში იგი მიხეილ აშვეთიამ შეცვალა. საწყისი 45 წუთი დაყო მოედანზე ზურაბ არზიანმაც. „დინაბურგში“ კი გამოჩნდა გამოჯანმრთელებული შოთა ბაბუნაშვილი.

და ერთიც: კლუბის ვებგვერდის ცნობით, ჯიქია, ბარაბაძე და ნავალოვსკი მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ და „ანჟიმ“ ამ ფეხბურთელებთან 3-3-წლიანი კონტრაქტები გააფორმა.

ნუკრი ლოლაძე

აშვეთია ლოკომოტივში მივიდა... დროებით

თურქეთში მყოფ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებთან მიხეილ აშვეთიაც გამოჩნდა. არ გაგიკვირდეთ, „ანჟის“ ქართველი რკინიგზულ კლუბს არ დაბრუნებია, დაღესტნელებიც იქვე არიან შეკრებაზე და აშვეთიამ მოსკოველი ქართველები მოინახულა.

„ძველი მეგობრების, მალხაზ ასათიანისა და დავით მუჯირის სანახავად მოვედი — უთხრა აშვეთიამ სასტუმროში დახვედრილ რუს ჟურნალისტებს — საერთოდ, „ლოკომოტივში“ ბევრი კეთილი ნაცნობი დავტოვე. მუჯირს კი ჯერ კიდევ თბილისის „დინამოდან“ ვიცნობ. მჯერა, რომ „ლოკომოტივმა“ მისი შეძენით კარგი ნაბიჯი გადადგა“.

აშვეთია ჟურნალისტებს იმაშიც გამოუტყდა, რომ შარშან „ლოკომოტივის“ მატჩებს ესწრებოდა.

„აგვისტოში „ანჟიმ“ განაცხადში ჩემი შეყვანა ვერ მოახერხა, ამიტომ თავისუფალი დრო ხშირად ქალაქში ვატარებდი და მოსკოვს ვსტუმრობდი. აბა, ისე როგორ იქნებოდა, ჩერკიზოვოში არ მივსულიყავი „ლოკომოტივის“ მატჩებზე. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ გუნდს შარშანდელი სეზონი ჩაუვარდა“ — განაცხადა აშვეთიამ.

შეგახსენებთ: აშვეთია „ლოკომოტივში“ 2003-04 წლებში თამაშობდა და ჩემპიონიც გახდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მოლდოვური თეთრი ბაირაღი

მოლდოვაში მოთამაშე ქართველთა კლუბებმა მორიგი საკონტროლო მატჩები გამართეს.

მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ 1:3 დამარცხდა ლაშა ჯაკობიას უკრაინულ „ვორსკლასთან“. ორივე ქართველი სრულად გაისარჯა.

მოულოდნელად წააგო ლევან კორლალიძისა და ჯაბა დვალის „დაჩიამ“. კიშინიოველები ყაზახეთის პირველლიგელ „მეგასპორტთან“ 0:1 დამარცხდნენ. ქართველებმა შეუცვლელად ითამაშეს...

ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა“ კი 1:2 წააგო სლოვაკურ „არტმედიასთან“, გუნდის ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა, ძმები ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები კი ისევ არ გამოჩენილან. მოლდოვური პრესის ცნობით, პავლემ ახლახან მოიშუშა ტრავმა...

მიხეილ ჟორჟოლიანი

მუჯირის ტრავმა საშიში არ გამოდგა

„ბაკის“ ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი ერთ თვეს რომ იუქმებს, უკვე ვწერდით. აზერბაიჯანის ჩემპიონატის გამნახლებელ ტურში ბაქოელებს მეორე ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირიც დაუშავდათ.

ამ ტურით მეორე წრე დაიწყო და აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველთაგან თავი სწორედ მუჯირმა გამოიჩინა, თუმც...

„სასიამოვნო ისაა, რომ მუჯირის ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა. ქართველი რამდენიმე დღეში განაახლებს ვარჯიშს და იმედია, მომდევნო ტურისთვის მზად იქნება“ — განაცხადა „ბაკის“ მწვრთნელმა ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გაგრამ ძოძუაშვილთან დათმო

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „გაგრამ“ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართა და ისევ წააგო. გაგრელები ამჯერად რევაზ ძოძუაშვილის ყარაგანდის „შახტიორთან“ დამარცხდნენ — 0:1.

ერთადერთი გოლი მე-12 წუთზე ყაზახეთის ნაკრების თავდამსხმელმა მურატ სუიუმაგომბეტოვმა გაიტანა, რომელსაც ზაფხულში ინტერტოტოს თასზე „ზესტაფონისთვისაც“ გაუტანია.

ძოძუაშვილმა თანამემამულეებთან მატჩში ლაშა ნოზაძე არ ათამაშა, ლევან მელქაძე კი ბოლო 10 წუთით დატვირთა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ესე ამბავი სპარსული...

ესპანელი მწვრთნელი, ხავიერ კლემენტე და ირანის ფეხბურთის ასოციაცია ერთმანეთს დაცილდნენ, არადა, თითქოს ყველაფერზე მოლაპარაკებულები იყვნენ — კლემენტე სპარსთა ნაკრებს უნდა ჩადგომოდა სათავეში. დაცილების მიზეზი ფული არ ყოფილა, პირობა საცხოვრებელი ადგილის გამო დაირღვა. ირანელებს, ჩვენი აზრით, სრულიად ლოგიკურად, სურდათ, კლემენტეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც ეცხოვრა იქ, სადაც უნდა ემუშავა — თეირანში, ესპანელმა კი საქმის თავისი სამშობლოდან მართვა მოიწადინა, რაზეც უარი მიიღო.

ასე და ამგვარად, ხანგრძლივი და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობებით აღსავსე მოლაპარაკებები წარუმატებლობით დასრულდა — აზიის ერთ-ერთი უდიდესი ნაკრები ძველებურად უმწვრთნელოდ რჩება, 2019 წლის მუნდიალის შესარჩევი შეჯიბრება კი უკვე დაიწყო, ირანელებმა 6 თებერვალს სირიასთან შინ 0:0 ითამაშეს.

ირანის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ალი კაფაშიანი აცხადებს, რომ ის და მისი კოლეგები კლემენტეგან ირანში მუდმივად ყოფნას არ ითხოვდნენ, მაგრამ მან ამაზეც უარი განაცხადა.

„კლემენტემ ესპანეთში ირანის საელჩოს წერილით მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ კონტრაქტში ახალი პუნქტის შესატანად მზად არ არის — თქვა კაფაშიანმ სააგენტო ISNA-სთან საუბარში — ამიერიდან ჩვენ ახალი მწვრთნელის ძიებაში ვართ“.

ირანულმა პრესამ კი ესპანელი მწვრთნელი მწარედ გააკრიტიკა. სპარსი ჟურნალისტებისთვის ყოველად მიუღებელი გახლდათ კლემენტეს სურვილი, სამუშაოს ძირითადი ნაწილი შინ, თავის აუტკივებლად, ვიდეოჩანაწერების საშუალებით ეკეთებინა. ითქვა ისიც, რომ ირანს არ სჭირდება მწვრნელი, რომელიც მიდი-მოდის და იქ არ ცხოვრობს, სადაც მუშაობს.

ყოველივე ამის შემდეგ ირანის ნაკრების გარშემო ასეთი სურათი იხატება: კაფაშიანის და კლემენტეს თითქოსდა მდგომარეობის გადახედვა ჯერ კიდევ შეუძლიათ, მაგრამ აშკარაა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია თანამემამულე მწვრთნელის ძიებას უფრო შეუდგება, ვიდრე უცხოელისას.

„ირანში ხუთი თუ ექვსი ისეთი სპეციალისტი გვყავს, რომელიც საქმეს წარმატებით გაუძღვება. მიზანში გვყავს ორი-სამი უცხოელიც. ვფიქრობთ, ორ-სამ დღეში ყველაფერი მოგვარდება და ჩვენ ჩვენი ეროვნული გუნდის ახალი თავკაცის დასახელებას ოფიციალურად შეძლებთ“ — განაცხადა კაფაშიანმ.

ხოლო, სპარსთა ფეხბურთის პრობლემები ასეთია: ქვეყანას ჰყავს რამდენიმე ვარსკვლავი, მაგალითად, „ბოლტონ უონდერეზში“ მოთამაშე ნახევარმცველი ანდრანიკ თეიმურიანი და ფრანკფურტის „აინტრეხტის“ გარემარბი მეჰდი მაჰდავიკია, მაგრამ ამის მიუხედავად, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპიდან გავარდნის შემდეგ, გუნდი მაღალი დონის შეჯიბრებებს გადაეჩვია.

2010 წლის მუნდიალის მეორე შესარჩევი თამაში სპარსებს 26 მარტს ქუვეითში ელით.

რაც შეეხება ხავიერ კლემენტეს, შეგახსენებთ, რომ მან სერბეთის ნაკრები ევრო 2008-ზე ვერ გაიყვანა და თანამდებობიდან დაითხოვეს.

პაპუნა კედია

ხავიერ კლემენტეს ერთი კვირის წინანდელი ინტერვიუდან

— ჩემს სახლში ვიცხოვრებ ზარაუცში და თეირანში მატჩებამდე ერთი ან ორი კვირით ადრე ჩავალ ხოლმე, როცა ამის საჭიროება იქნება.

— ანუ ირანის მწვრთნელისთვის თეირანში ცხოვრება აუცილებელი არ არის?

— ნამდვილად არ არის აუცილებელი, მთავარ მატჩებს უშუალოდ დავესწრები და ფეხბურთელებსაც დავაკვირდები. ისე კი, ვიდეოაპარატურა თეირანშიც და ბასკეთშიც ერთნაირად მუშაობს.

ბალოტელი იტალიის საფრთხეა

იტალიის ნაკრები იმათგანია, თავის ფესვებს რომ ინარჩუნებს. „ორიუნდებს“ (იტალიური წარმოშობის სამხეთამერიკელები) თუ არ ჩავთვლით, „სკუადრა აძურაში“ 99 პროცენტი ჭეშმარიტი იტალიელები თამაშობენ.

უახლოეს მომავალში არის საშიშროება, რომ იტალიის ნაკრებიც გლობალიზაციისკენ წავიდეს, რასაც აპენინებზე უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს მილანის „ინტერის“ უნიჭიერესი ფორვარდი მარიო ბალოტელი წარმოადგენს, რომელსაც აგვისტოში 18 წელი უსრულდება და იტალიის მოქალაქეობას მიიღებს.

ბალოტელი პალერმოშია დაბადებული და მთელი ცხოვრება იტალიაში აქვს გატარებული, მაგრამ განელია. ახალგაზრდა ფორვარდმა „შავი ვარსკვლავების“ მიწვევაზე უარი თქვა, რადგან მომავალში „სკუადრა აძურაში“ სურს თამაში.

„მარიომ განას ნაკრებისგან მიწვევა მიიღო, სადაც ულაპარაკოდ ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა, მაგრამ უარი განაცხადა. მას არ უნდა, მომავალში იტალიის ნაკრებში თამაშის შანსი დაკარგოს“ — უთხრა „გუერინ სპორტივოს“ ბალოტელის ძმამ, კორადომ.

კორადო ბალოტელი მარიოს ძმაც არის და აგენტიც. მან „ინტერთან“ ახალ კონტრაქტზეც გააკეთა კომენტარი: „ამჟამად კონკრეტული არაფერია. პრესაში დაიწერა, თითქოს ჩვენ კლუბთან ახალი კონტრაქტი 2013 წლამდე უნდა გავაფორმოთ, თუმცა, ჩემი აზრით, ამაზე მას მერე ვილაპარაკებთ, რაც მარიო სრულწლოვანი გახდება და იტალიის მოქალაქეობასაც მიიღებს“.

კოკი კანდელაკი

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIII ტური

ბრისტოლი 1:1 კრ. პალასი

სტოკი	33	16	11	6	58:43	59
უოტფორდი	33	17	8	8	54:40	59
ბრისტოლი	33	16	10	7	40:39	58
ვესტ ბრომვიჩი	32	16	7	9	66:40	55
ჩარლტონი	33	14	10	9	46:36	52
იფსვიჩი	33	14	9	10	51:41	51
ბარნლი	32	12	11	9	44:41	47
ჰალი	32	12	11	9	39:36	47
პლიმუთი	32	12	10	10	40:32	46
კრ. პალასი	33	11	13	9	38:33	46
კარდიფი	32	11	11	10	42:40	44
ვულვზი	32	11	11	10	30:34	44
ნორვიჩი	33	11	9	13	32:41	42
ბარნსლი	32	10	10	12	37:49	40
ბლეკპული	33	9	12	12	41:42	39
შეფილდი	32	9	12	11	34:36	39
ქუინზ პარკი	32	10	9	13	42:49	39
საუთჰემპტონი	32	10	8	14	42:53	38
ლესტერი	33	8	13	12	33:31	37
ქოვენთრი	31	10	6	15	34:46	36
პრესტონი	32	9	6	17	31:40	33
კოლჩესტერი	32	6	14	12	45:52	32
უენსდი	31	9	5	17	33:40	32
სკანთორპი	33	7	10	16	31:49	31

პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

ლეირია 1:2 ბელენენსეში

პორტუ	19	15	2	2	35:7	47
ბენფიკა	19	10	7	2	31:10	37
სპორტინგი	19	9	6	4	27:16	33
გიმარაეში	19	9	4	6	22:23	31
ბელენენსეში	19	7	8	4	19:17	29
სეტუბალი	19	6	10	3	26:20	28
მარიტიმუ	19	8	2	9	22:20	26
ნასიონალი	19	6	7	6	13:13	25
ბრაგა	19	6	7	6	22:24	25
ბოავიშტა	19	5	8	6	23:30	23
ლეიშოეში	19	3	11	5	19:22	20
აკადემიკა	19	4	8	7	19:28	20
ნავალი	19	5	4	10	14:29	19
ამადორა	19	3	9	7	19:23	18
ფერეირა	19	4	4	11	19:29	16
ლეირია	19	1	5	13	14:33	8

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური

ლიბერეცი 1:1 ბანიკი

სლავია	17	11	5	1	27:9	38
სპარტა	17	10	3	4	31:15	33
ტეპლიცე	17	10	3	4	25:13	33
ბანიკი	17	7	7	3	25:18	28
პლზენი	17	8	4	5	19:16	28
ბრნო	17	7	5	5	26:24	26
ზლინი	17	6	5	6	16:20	23
ბუდეიოგიცე	17	6	4	7	21:21	22
სიგმა	17	4	9	4	11:14	21
ბოლესლავი	17	4	8	5	19:19	20
ჟიჟკოვი	17	5	4	8	22:29	19
ლიბერეცი	17	4	6	7	14:18	18
კლადნო	17	4	4	9	22:29	16
იაბლონეცი	17	3	6	8	11:18	15
ბოჰემიანსი	17	3	5	9	10:22	14
მოსტი	17	2	6	9	19:33	12

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIV ტური

ნანტი 2:0-ბასტია

ლე ავრი	24	14	8	2	42:21	50
ნანტი	24	14	6	4	37:19	48
ტრუა	24	12	8	4	32:20	44
ბასტია	23	11	6	6	32:21	39
გრენობლი	24	10	8	6	31:23	38
კლერმონი	24	8	12	4	33:25	36
სედანი	24	9	9	6	29:26	36
მონპელიე	24	9	8	7	27:20	35
ანჟერი	24	9	8	7	23:21	35
აიაჩო	24	9	8	7	27:26	35
გენგამი	24	7	8	9	23:24	29
რეიმსი	23	8	5	10	28:37	29
ბრესტი	24	7	7	10	20:30	28
ბულონი	24	7	6	11	26:34	27
შატორუ	24	6	8	10	23:28	26
ამიენი	24	6	8	10	27:33	26
დიჟონი	24	4	11	9	18:34	23
ნიორი	24	6	4	14	21:30	22
ლიბურნი	24	4	8	12	26:39	20
გენიონი	24	2	8	14	25:39	14

თურქეთი

სუპერლიგა. XXII ტური

ძონია 0:1 გალათასარაი

გალათასარაი	22	15	6	1	46:17	51
ფენერბაჰჩე	22	15	5	2	48:23	50
სივა	22	15	2	5	33:17	47
ბეშიქთაში	22	14	4	4	34:22	46
ქაისერი	22	11	8	3	35:18	41
ტრაბზონი	22	9	4	9	31:26	31
დენიზლი	22	8	5	9	28:28	29
ოფთა	22	7	6	9	23:24	27
ბუიუქშეჰირი	22	6	7	9	28:30	25
ანკარაგიუჯიუ	22	6	7	9	21:30	25
გაზიანთეფი	22	7	4	11	25:35	25
ქონია	22	7	4	11	25:38	25
გენჩლერი	22	6	6	10	28:32	24
ბურსა	22	5	9	8	22:26	24
ანკარა	22	5	8	9	23:26	23
რიზე	22	6	3	13	24:46	21
მანისა	22	5	5	12	30:41	20
კაშიმპასა	22	3	3	16	16:41	12

გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

გლადბახი 0:1 მაინცი

გლადბახი	20	10	7	3	39:24	37
მაინცი	20	10	5	5	34:19	35
ფიურტი	20	10	5	5	33:23	35
კიოლნი	20	10	4	6	38:28	34
ფრაიბურგი	20	9	7	4	31:24	34
მიუნხენი	20	8	7	5	31:23	31
ჰოფენჰაიმი	20	8	7	5	31:29	31
ვეჰენი	20	7	8	5	31:28	29
ალემანია	20	7	7	6	29:28	28
აუგსბურგი	20	7	5	8	27:29	26
ზანკტ პაული	20	6	7	7	24:28	25
კობლენცი	20	5	9	6	23:28	24
ოსნაბრიუკი	20	6	6	8	29:36	24
ოფენბახი	20	5	7	8	21:34	22
ლაუტერნი	20	4	7	9	20:24	19
აუე	20	5	4	11	24:36	19
პადერბორნი	20	2	9	9	15:26	15
კარლ ცაისი	20	3	5	12	28:41	14

დაგვიანებული სასჯელი

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველს მაურო ხერმან კამორანეზის დაახლოებით 13 წლის წინანდელი ამბავი გაუხსენეს და გვარიანი ფულადი ჯარიმითაც დასაჯეს.

1994 წლის აგვისტოში კამორანეზი არგენტინულ „ალდოსივიში“ თამაშისას ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში მეტოქე ხავიერ პიცოს საშინლად ეუხეშა. პიცომ სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც მუხლი 39 პროცენტით დაუპატარავდა. მას სამი წელი უქმობა მოუხდა, მიწდორზე დაბრუნებულმა კი მხოლოდ ოთხჯერღა შეძლო თამაში, ანუ კამორანეზიმ მას, ფაქტობრივად, კარიერა დაასრულებინა.

ამ საქმის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მოსამართლე ამალფიმ გადაწყვიტა, რომ კამორანეზიმ გაწზრახ თუ უნებლიეთ, მაგრამ ეუხეშა და მას პიცოსთვის 45 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. იტალიის ნაკრების ნახევარმცველის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ამ განაჩენს გაასაჩივრებენ.

კოკი კანდელაკი

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

დასვენების დრო არ არის!

დელ ნიდოს გაფაფხულიც გაახსენდა

ფენერბაჰჩე — სევილია

ლუიმ ფაბიანოს ესპანეთში ვერ აჩერებენ, თურქეთში?

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი, უეფას თასის ზედიზედ ორგზის მომგები „სევილია“ პირველივე ცდაზე მერვედფინალში გაძვრა. ანდალუზიურმა გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე „არსენალს“ გადაასწრო და პირველ ადგილზე გავიდა, რაც დებიუტანტისთვის, დაგვეთანხმებით, ძალიან კარგი შედეგია.

სევილიელთა მეტოქეა „ფენერბაჰჩე“, რომელმაც მეხუთე ცდაზე შეძლო მერვედფინალის კარის შეღება და ეს ბრაზილიელი მწვრთნელის, ზიკოს ხელში მოახერხა.

შემოდგომაზე „სევილიას“ თავკაცი ხუანდე რამოსი „ტოტენჰემში“ გადავიდა და მის ნაცვლად მანოლო ხიმენესი დანიშნეს.

წინა შაბათს გუნდმა პრიმერადივიზიონში ბარსელონაში „ესპანიოლი“ 4:2 დაამარცხა. სეზონში მე-17 გოლი მიითვალა ჩემპიონატის ბომბარდირმა ლუიმ ფაბიანომ, დანარჩენი გოლები კი კანუტემ, პოულსენმა და კაპელმა გაიტანეს. „ფენერბაჰჩემაც“ ასეთივე ანგარიშით იმარჯვა — სტუმრად „რიზესთან“.

აღსანიშნავია, რომ „ფენერმა“ ჯგუფურ ეტაპზე სამივე საშინაო შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. თურქებს ამ სერიის გაგრძელება „სევილიასთანაც“ სურთ, მაგრამ ესპანურ კლუბებთან საშინელი ბალანსი აქვთ — სამიდან სამი მარცხი, მათ შორის „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგაში (2001-02) 0:3, „ბეტისთან“ უეფას თასზე (1995-96) 1:2 და ამავე ტურნირში „სარაგოსასთან“ (2004-05) — 0:1.

„სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ განაცხადა, რომ გუნდი მერვედფინალს კარგ ფორმაში ხვდება. „ფეხბურთელები თავდაჯერებულნი არიან და ეს „ესპანიოლთანაც“ გამოჩნდა. ისეთივე ფორმაში ვართ, როგორც შარშან გაზაფხულზე, როცა უეფას თასისკენ ტრიუმფით მივდიოდით. გოლები ბლომად გაგვაქვს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ „რეალს“ ჩამოვრჩებით. რა თქმა უნდა, სტამბოლში თამაში ყველა სტუმრისთვის რთულია, მაგრამ ჩვენ სათანადოდ მოვემზადეთ. ამ წყვილში „სევილია“ ფავორიტია. ჩემი მოვალეობაა, ბიჭები დავარწმუნო, რომ ფინალში გასვლა შეგვიძლია. ტურნირის დაწყების დღიდან ამაზე ვესაუბრები. ვიმედოვნებ, რომ მწვრთნელი საუკეთესო შემადგენლობას გაიყვანს და ვინმეს დასვენებას არ ეცდება. ასეთ მატჩებში ძალიან მნიშვნელოვანია სტუმრად გოლის გატანა“ — თქვა პრეზიდენტმა.

„სევილია“ სტამბოლში ხავი ნავაროს, ერნესტო ჩევანტონის, ალექსანდრ კერჟაკოვის და ხალიდ ბულარუზის გარეშე ჩავა. გუნდმა ხუანდე რამოსის წასვლის შემდეგ ცოტა აურია, მაგრამ ამჯერად აღმავლობის გზაზეა. ჩემპიონატის ბოლო ოთხ მატჩში სამი მოიგო და ერთიც ფრედ („ბარსელონასთან“) დაასრულა.

ვაჟა ხუციშვილი

თავმოჭრილი ქათმები

„ბარსას“ ეტოო დაუბრუნდა

სელტიკი — ბარსელონა

„სელტიკის“ მწვრთნელმა ჩემპიონთა ლიგის მოგება „ბარსელონას“ უწინასწარმეტყველა, მაგრამ იქვე დასძინა, ჩემი გუნდის ფეხბურთელები გამარჯვებას თუ იწამებენ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლიაო. „ტურნირის მთავარ ფავორიტს ვეთამაშებით და ეს არ გვავიწყდება. თავმოჭრილი ქათმებივით არ უნდა ვირბინოთ, თუმც ზოგ მეტოქესთან ასეთი „ტაქტიკაც“ ჭრის. ცხადია, რომ ბურთს „ბარსელონა“ დაიჭერს და ბევრი სამუშაო გვექნება, ოღონდ როგორც კი ბურთს მოვიგდებთ, ჩვენი მომენტები უნდა გამოვიყენოთ“ — თქვა გორდონ სტრაჩანმა.

„სელტიკი“ მერვედფინალისტებში ერთ-ერთი საუკეთესო „სახლის გუნდია“. გლაზგოელებმა ჯგუფურ ეტაპზე სტუმრად სამივე თამაში წააგეს, მაგრამ შინ სამჯერ იმარჯვეს, მათ შორის ჩემპიონთა თასის მფლობელი „მილანიც“ დაამარცხეს, მაგრამ „ბარსელონა“ ის ერთადერთი გუნდია, რომელსაც „ჰემპდენ პარკზე“ ჩემპიონთა ლიგაში „სელტიკთან“ მოუგია. 2004 წლის სექტემბერში კატალონიელებმა მეტოქეს 3:1 სძლიეს.

იმის წინა სეზონში კი ეს გუნდები უეფას თასის მეოთხე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. გლაზგოში თამაში მასპინძელთა სასარგებლოდ (1:0) დასრულდა, სტუმრად კი — უგოლოდ.

შემოდგომაზე, ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონამ“ „რეინჯერსთან“ შოტლანდიაში 0:0 ითამაშა და იმ მატჩის შემდეგ ლიონელ მესიმ „ჩაფრების“ თამაშს ანტიფეხბურთი უწოდა. „ბარსას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი „სელტიკისგან“ ასეთ ფეხბურთს არ ელის.

„სელტიკის“ ყაიდა სხვანაირია. ისინი დაცვაში არ იკეტებიან და ისევე უტევენ, როგორც „მანჩესტერი“ და „არსენალი“. ვფიქრობ, ჩვენი მატჩი საამო სანახავი გამოვა“ — განაცხადა ჰოლანდიელმა.

სელტიკელებმა ჩემპიონატში შინ „ჰარტსი“ 3:0 დაამარცხეს და ბოლო სამ ტურში 13 გოლი მიითვალეს. „ჰარტსთან“ ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა, ჰინკელმა და მაკდონალდმა გაიტანეს.

გორდონ სტრაჩანის გუნდს დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი სკოტ ბრაუნი დააკლდება და ანდრეას ჰინკელიც ვერ დეხმარება, რადგან ჩემპიონთა ლიგაში „სევილიას“ შემადგენლობაში ითამაშა.

„ბარსელონამ“ პრიმერაში სტუმრად „სარაგოსას“ 2:1 მოუგო ტიერი ანრისა და რონალდინიოს გოლებით. სამუელ ეტოომ ეს შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ გამოკეთდა და დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება მესისთან და ანრისთან ერთად.

ვაჟა ხუციშვილი

ტრანსფერი ვერტმფრენით

„რეჯინა“ „ჩელსის“ ფიფას წესების დარღვევაში ადანაშაულებს და ჩივილს აპირებს. იტალიური კლუბის პრეზიდენტმა პასკუალე ფოტიმ განაცხადა, რომ ჩელსელებმა მათი აღზრდილი, 15 წლის ვინსენტ კამილერი უკანონოდ გადაიბირეს.

რეჯინელებმა „ჩელსის“ ბიჭთან მოლაპარაკება აუკრძალა, მაგრამ კამილერი ლონდონში მშობლებთან და აგენტთან ერთად ჩასულა და კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკება დაუწყია.

„ჩელსის“ აგენტები (ფრანკ არნესენი და კარლო ჯაკომეტი) ჩვენი სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე რომან აბრამოვიჩის ვერტმფრენით შემოიჭრნენ. ამ ბატონებმა ვინსენტ კამილერი ფულს დაახარბეს და გადასვლაზე დაითანხმეს. ჩვენ აუცილებლად მივმართავთ ფიფას, უეფასა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას“ — განრისხდა ფოტი.

მინისტრის პასუხი ბლატერს

ესპანეთის სპორტის მინისტრმა ხაიმე ლიზავეცკიმ ფიფას პრეზიდენტი დაამშვიდა და თქვა, რომ ქვეყნის კანონები ფიფას წესებთან წინააღმდეგობაში არ არის. გუშინწინ ბლატერმა ესპანეთის მთავრობა გააფრთხილა, ფედერაციის საქმეში თუ ჩაერევით, თქვენს ნაკრებს და კლუბებს საერთაშორისო ტურნირებიდან მოვკვეთთო. შეგახსენებთ, რომ მთავრობამ სპორტის იმ ფედერაციებს, რომლებიც პეკინის ოლიმპიადისთვის ულიცენზიოდ დარჩნენ, ვადამდელი არჩევნების ჩატარება უბრძანა. ეს კი ფიფამ ფეხბურთის ფედერაციის საქმეში ცხვირის ჩაყოფად აღიქვა და ბლატერის მუქარამაც არ დააყოვნა.

„პატივს ვცემთ ფიფას აზრს, მაგრამ ვიცავ ესპანეთის კანონებს და დემოკრატიული არჩევნების პრინციპს ყველა ფედერაციაში. ზოგჯერ პრობლემური ვითარება იქმნება, თუმც, დარწმუნებული ვარ, ფიფა სწორად გაგვიგებს და ვითარება მოგვარდება. ესპანეთის ნაკრები და კლუბები კი საერთაშორისო ტურნირებში ითამაშებენ“.

ემპოლის იმედის მყესი

„ემპოლის“ ფორვარდმა ნიკოლა პოციმ მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და სეზონი ნაადრევად დაასრულა. ფეხბურთელმა კვირას, „ნაპოლისთან“ გასვლით მატჩში დუბლი შეასრულა (3:1) და მეორე გოლიდან ორ წუთში შესაცვლელი გახდა. ეს დიდი დანაკლისია „ემპოლისთვის“, რომელიც სერია A-ში დარჩენისთვის იბრძვის და პოცის გოლებზე იყო დამოკიდებული.

ფორვარდის მკურნალობას დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდება. მას ოპერაციას ბელგიაში გაუკეთებენ, სადაც 2004 წელს ერთხელ უკვე უწამლეს. ნიკოლა პოცი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და ალბათ პეკინის ოლიმპიადასაც გამოტოვებს.

ვაჟა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მერჯედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

გაგიჟდებოდა, რომ ეცალოს

არსენალი — მილანი

„მანჩესტერთა“ შერცხვენის მიუხედავად, ადებაიორი და გალასი „მილანის“ დასახვედრად ხალისით ემზადებიან

ჩემპიონთა ლიგაში „მილანის“ და „არსენალის“ გზები პირველად გადაიკვეთა, ისე კი ერთმანეთს 1994 წელს უეფას სუპერთასზე შეხვდნენ. ლონდონური მატჩი უგოლოდ დასრულდა, ხოლო საპასუხოში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

შაბათს „არსენალმა“ ასოციაციის თასზე „მანჩესტერთან“ 0:4 წააგო, რამაც არსენ ვენგერი ცუდ გუნებაზე დააყენა. „რა ვქნა? — თქვა ფრანგმა — მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ხეირიანი მომენტი არ გვქონია. ბიჭები თითქოს ძილბურანში იყვნენ. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ გასაგიჟებლად დრო არ მქონდა, რადგან „მილანთან“ მატჩზე უნდა მეფიქრა და იმაზეც, რომ ამ მარცხს ფეხბურთელები არ დაეთრგუნა. ოთხშაბათს იმდენად დიდი თამაში გველის, „მანჩესტერთან“ წაგება რა მოსატანია. რაც შეიძლება, მალე მოვეგოთ გონს და სათანადოდ მოვემზადოთ — აი, ესაა მთავარი“.

ფრანგმა მწვრთნელმა კაკაზეც ისაუბრა: „წინა სეზონში ის საუკეთესო იყო, 11 მატჩში 10 გოლი გაიტანა. ძალიან სწრაფია და თვალის დახამხამებაში აღმოჩნდება მეტოქის საჯარიმოში. ამიტომ ჩვენს ნახევარდაცვას განსაკუთრებული ყურადღება მართებს. შესაძლოა, რომ კაკას ჟილბერტი სილვა მივუჩინო“.

„არსენალი“ ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 17 საშინაო მატჩში არ დამარცხებულა. იტალიურ კლუბებს ხუთჯერ გადაეყარა და ორი შეხვედრის ჯამში ხუთჯერვე იმარჯვა. „მეთოფეებს“ ტრავმირებული ჰყავთ ტომაშ როსიცკი, რობინ ვან პერსი, ბაქარი სანია და მანუელ ალმუნია. ემანუელ ადებაიორმა, რომელმაც პრემიერლიგაში მიჯრით ცხრა მატჩში გაიტანა, „მანჩესტერთან“ შეცვლაზე ითამაშა, დღეს კი ძირითად შემადგენლობაში იქნება ედუარდოსთან ერთად.

რაც შეეხება „მილანს“, სერია A-ში ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია მიაყოლა და მეხუთე ადგილს უწია. წინა შაბათს კარლო ანჩელოტის გუნდი სტუმრად „პარმას“ უგოლოდ დაუზავდა.

მილანელებს დაშავებული მეკარე დიდა დააკლდებათ, რომელმაც პარმაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას წელი იტკინა. მისმა შემცვლელმა ჟელკო კალაჩმა კვირას ვარჯიშზე თითი იღრძო და თუ საქმე ისე წავიდა, რომ ავსტრალიელის თამაშიც გამოირიცხა, კარში მესამე მეკარე ფიორი ჩადგება. მას ძირითად შემადგენლობაში 2003-04 წლების სეზონის შემდეგ არ უთამაშია.

ალეშანდრე პატოს სამი კვირა გაუცდა და საარსენალოდ გამოკეთდა, მაგრამ საეჭვოა, რომ სასტარტო თერთმეტეულში მოხვდეს. კარლო ანჩელოტი შეტევაში, სავარაუდოდ, ალბერტო ჯილარდინოს ეულად გაამწესებს.

ვაჟა ხუციშვილი

გამოვამწყვდიოთ და შევაცდინოთ

ლიონი — მანჩესტერი

ლიონელები მთავარ იმედებს ჟუნინიოზე (მარჯვნივ) ამყარებენ

„ლიონის“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ჟუნინიოს მიაჩნია, რომ „მანჩესტერი“ ამჟამად ევროპაში საუკეთესო გუნდია. „ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტები „მანჩესტერი“ და „ინტერი“ არიან. „არსენალთან“ ალექს ფერგიუსონის გუნდის თამაში ვნახე და ძალიან მომეწონა. ასეთი მეტოქის დამარცხება ურთულესი საქმეა, მაგრამ შეუძლებელი არაა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „რეინჯერსთან“ მოგებით გავაღწიეთ მერვედფინალში და კვლავაც ვიბრძოლებთ. უპირველეს ყოვლისა, „მანჩესტერთან“ შინ სასურველ შედეგს უნდა მივაღწიოთ, მერე კი „ოლდ ტრეფორდზე“ ვნახოთ, რა მოხდება“ — თქვა ბრაზილიელმა.

ჟუნინიოს თანგუნდელი მეტიუ ბოდმერი: „ყველაზე ცუდი ვარიანტი მერვედფინალში „ინტერთან“ შეხვედრა იქნებოდა, რადგან ეს გუნდი დღესდღეობით უძლიერესია. ინგლისში „მანჩესტერი“ და „არსენალი“ დანარჩენებზე ერთი თავით მაღლა დგანან, მაგრამ „ლილის“ შემადგენლობაში ფერგიუსონის გუნდის წინააღმდეგ მითამაშია და, დარწმუნებული ვარ, ორი მატჩის ჯამში გამარჯვების შანსი გვაქვს. მათი მთავარი კაცი კრიშტიანუ რონალდუა, რუნიტეესის წყვილიც კარგად მუშაობს, რაიან გიგზი ძალიან სწრაფია და საგოლე პასები ეხერხება, მაგრამ „მანჩესტერი“ დაცვაშია სუსტი. მთავარია, ისინი მთსავე საჯარიმოში გამოვამწყვდიოთ და აუცილებლად შეცდებიან“.

დაცვაში „მანჩესტერის“ გამომწყვდევა იოლი საქმე არაა, რადგან ეს გუნდი თავად არის ამის ოსტატი, რაც „არსენალის“ განადგურებითაც (4:0) დაამტკიცა. იმ მატჩში კრიშტიანუ რონალდუმ და რაიან გიგზმა არ ითამაშეს. ისინი მწვრთნელმა დაასვენა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, პოლ სქოულზი, ოუენ ჰარგრივსი, კრიშტიანუ რონალდუ და რაიან გიგზი დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

„ლიონი“ და „მანჩესტერი“ ოთხი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. საფრანგეთში მატჩი 2:2 დასრულდა, ინგლისში კი მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს.

გასულ შაბათს ჩემპიონატში „ლიონმა“ სტუმრად „ლე მანთან“ 0:1 წააგო, რაც მწვრთნელმა ალან პერენმა ასე ახსნა: „გუნდმა მობილიზება ვერ მოახერხა, რადგან თავში ყველას „მანჩესტერთან“ მატჩი უტრიალებდა“.

„ლიონს“ შინ ინგლისელებთან ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთხელ მოუგია — თასების მფლობელთა თასზე „ტოტენჰემთან“ (1967-68) 1:0. საფრანგეთში „მანჩესტერს“ ათჯერ უთამაშია, სამში იმარჯვა, ხუთი ფრედ დაასრულა და ორჯერ წააგო.

ვაჟა ხუციშვილი

მარკი და მარკო

მარკ ვან ბომელი ევროპის ნაკრებონატზე თამაშს ვერ ელირსება. შარუსგამოსული „ბაიერნის“ ნახევარმცველმა მსოფლიოს ჩემპიონატის (2006) შემდეგ ნაკრების მაისურა გადააგდო, სანამ მარკო ვან ბასტენი იქნება, გუნდში ვერ მნახავთო.

წინა კვირაში ბაიერნელმა ძველი ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ნაკრებს სიამოვნებით დაუბრუნდება, მაგრამ ახლა მწვრთნელმა მიუხურა კარი. „ვან ბომელზე ფიქრისთვის დრო არ მაქვს — ბრძანა ვან ბასტენმა — იგი უკვე გადაშლილი ფურცელია და ისტორიის ჩაბარდა. იცით, რა თქვა ჩემზე? მასთან მუშაობა აღარ მსურს და თავი გამანებსო. ასეთი თავხედობა გამიკვირდა. ვან ბომელის დაბრუნება აწყობილ გუნდს ამირევს“.

ცოტა ხნის წინ მარკო ვან ბასტენი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ფოპე დე ჰაანმაც გააკრიტიკა. მომავლის მწვრთნელია, ამჟამად კი ვერაფერს მიაღწევსო. კრიტიკაზე ვან ბასტენმა ასე უპასუხა: „არა მგონია, რომ მან ჩემი მუშაობის სამართლიანად შეფასება შეძლოს. მე ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვარ, რომლის წვრილმანებშიც დე ჰაანი ვერ ერკვევა“.

სალერნოს ბრალია

სერია A-ს მაჩანჩალა „კალიარიმ“ სპორტული დირექტორი ნიკოლა სალერნო თანამდებობიდან დაითხოვა. გუნდმა წინა ტურში „პალერმოსთან“ 1:2 წააგო და კვლავაც ბოლო ადგილზეა. კლუბის პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ ამ სეზონში მწვრთნელი ორჯერ შეცვალა და ახლა სპორტულ დირექტორს მიადგა, მაგრამ „კალიარის“ სერია B ალბათ მაინც არ აცდება. სალერნო შარშან ზაფხულს „ფოჯადან“ წაიყვანეს სარდინიელებმა, თუმც სინიორ ნიკოლამ ჭირვეული პრეზიდენტის იმედი ვერ გაამართლა.

გვიდოლინმა გოგოს შეუტია

„პალერმოს“ მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინმა კლუბის პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის შეუტია. პრეზიდენტმა ერთი კვირის წინ, „ტორინოსთან“ მარცხის შემდეგ თავის ფეხბურთელებს „პატარა გოგოების გუნდი უწოდა, რაც მწვრთნელს ეწყინა.

გასულ კვირა დღეს „პალერმომ“ „კალიარის“ 2:1 მოუგო და გვიდოლინმა ძამპარინის გასაგონად თქვა: „როცა გუნდს ასეთ შეურაცხყოფას საჯაროდ აყენებ, ეს ფეხბურთელებზე უარყოფითად მოქმედებს... უკეთესი იქნებოდა, ჩვენთან ესაუბრა და არა გაზეთთან. ნოემბერში შემპირდა, რომ მსგავსი რამ არ განმეორდებოდა, მაგრამ სიტყვა გატეხა“.

ულივიერი ხელშეუხებელია

იტალიურ მედიაში „რეჯინას“ მწვრთნელ რენცო ულივიერის მოხსნაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ კლუბის დირექტორმა რიკარდო ბიგონმა ხიები უარყო. ულივიერიმ ნოემბერში მასიმო ფიკადენცისგან ჩაიბარა „რეჯინა“, თუმც ვერ „გააცოცხლა“ და გუნდი კვლავაცაა სერია B-ში ჩაქვეითების კანდიდატი. „უდინეზესთან“ საშინაო მარცხმა (1:3) მწვრთნელის სკამი შეაჯანჯღარა, ბიგონმა კი განაცხადა: „გასულ სეზონში, როცა ქულადაკლებულნი ვიყავით, სერია A-ში დარჩენა მოვახერხეთ და მჯერა, რომ ახლაც შევძლებთ. ულივიერის მოხსნა არ ემუქრება და ჩვენ მისი გჯერა“.

ვაჟა ხუციშვილი

კაცი ფეხბურთიდან

— ბატონო თერიმ, დასაწყისისთვის იქნებ ის გვითხრათ, თუ რას ნიშნავს ფეხბურთი თურქი ხალხისთვის.

— თურქი ერი ყველანაირი გაგებით საფეხბურთო ერია. სპორტის სიყვარული, დამოკიდებულება მის მიმართ და ჟინი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას გამოარჩევს. ფეხბურთი თურქთათვის მხოლოდ გართობა არ არის, ის დიდი გატაცებაა. მერედა, თურქული კლუბები ფინანსურად სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან და ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობაც მაღლა და მაღლა მიდის.

— მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრებმა გზა ბოლომდე განვლო, მესამე ადგილზე გავიდა. „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფს მიაღწია, ხოლო იმავ ნაკრებმა, ახლა უკვე თქვენი ხელმძღვანელობით, ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე დაიბევა ადგილი. რა შეიცვალა თურქულ ფეხბურთში, რამ მოიტანა ასეთი თვალსაჩინო წარმატება?

— თურქეთის ნაკრების წარმატებათა ისტორია 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან იწყება. სწორედ იმხანად შექმნილმა პოტენციალმა მოიტანა 2002 წლის მუნდიალის მესამე ადგილი. მას მერე ჩვენი ეროვნული გუნდის მარადიული ამოცანა ყველა დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობა და თავისი გამორჩეული სტილით თამაშია. თურქული ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ „ფენერბაჰჩეს“ წარმატებაც. ბუნებრივია, ასევე იქნებოდა ნებისმიერი სხვა კლუბის წარმატებული გამოსვლა ამა თუ იმ შეჯიბრებაში.

— საკუთარი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობა პირადად თქვენთვის იდეალური სამსახურია?

— ფაქტია, თურქეთის ნაკრების სათავეში ყოფნა მთელი თურქული ფეხბურთის მიმართულებისა და მიზნების განსაზღვრის უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო სამსახური.

— ფეხბურთელობისას თურქეთის ნაკრებში იმდენი მატჩი ჩაატარეთ, რომ კარგა ხანს ყველაზე „მეტკეპიანი“ მოთამაშე ბრძანდებოდით. ახლა, თანამემამულე მწვრთნელთა შორის ყველაზე ცნობილი ხართ. რა სჯობს, ფეხბურთელობა თუ მწვრთნელობა?

— უპირველეს ყოვლისა, ასე გიპასუხებთ: მე ფეხბურთი მიყვარს. თავად ვთამაშობ თუ გუნდს ვათამაშებ, მეორეხარისხოვანია. ჩემთვის მნიშვნელობა მხოლოდ ერთ რამეს აქვს: ფეხბურთში მინდა ვიყო ჩაფლული.

— ტექნიკასა და ბურთთან ურთიერთობაში თურქი ფეხბურთელები ევროპაში საუკეთესოთაგანნი არიან. რით ახსნით ამ ფენომენს?

— როდესაც ევრო 96-ზე გავედით, მენტალიტეტი მთლიანად შეიცვალეთ. ამას რევოლუციურ ცვლილებასაც კი დავარქმევდი. იმ დროისათვის თურქეთში საზღვარგარეთ მოთამაშე ერთ ფეხბურთელსაც ვერ ნახავდით. ხოლო, მენტალიტეტის შეცვლამ, თავის მხრივ, ის მოიტანა, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა არწაგებისთვის კი არა, მოგებისთვის ისწავლეს ბრძოლა. ამ ცვლილებამ მათ ევროპული კლუბებისკენ გაუხსნა გზა და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებაც ამის გაგრძელება გახლდათ.

— თურქ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი, მაგალითად ტყუპი ალტინტოპები, უცხოეთში გაიზარდნენ. როგორ ფიქრობთ, უცხოეთში დაბადებულ-გაზრდილ და თურქეთში დაბადებულ-გაზრდილ ფეხბურთელებს შორის, თუნდაც იმავე მენტალობის ან ხარისხის საკითხში, არის განსხვავება?

— თურქეთის ნაკრების იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უცხოეთში გაიზარდნენ და იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც მთელი ცხოვრება სამშობლოში გაატარეს, განსხვავება აშკარად არის. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ეს ძალიან პირადული რამ გახლავთ. თუ კაცი ნიჭიერია, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეუძლია ივარჯიშოს და მეტად ან ნაკლებად ერთსა და იმავე დონეს გამოჩენილ მწვრთნელებს ხშირად საკმაოდ განსხვავებული ბიოგრაფიები აქვთ, თუმცა ეს ბიოგრაფიები რაღაცით გვანან კიდეც ერთმანეთს. თურქეთის ნაკრების დღევანდელი თავკაცი, 54 წლის ფათიჰ თერიმი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ გახდა წარსულში ცნობილი მოთამაშე წარმატებული მწვრთნელი. წლების განმავლობაში თურქეთი მთელ მსოფლიოში ფეხბურთის მძინარე გოლიათად იყო მიჩნეული. ამ ქვეყანაში სპორტის ეს სახეობა აშკარად უყვარდათ და არც თამაშის ნიჭი აკლდათ, მაგრამ გოლიათი თავის დროს ელოდა და ამ დროის მოყვანაში თერიმმა ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა. თერიმის ხელმძღვანელობით თურქეთის ნაკრებმა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევში გაიმარჯვა და აღმავლობაც ამ საფუძველზე აშენდა. მანამდე თურქებს მხოლოდ 1954 წელს ეთამაშათ დიდ შეჯიბრებაში, მსოფლიოს პირველობაზე. მეოცე საუკუნის ბოლოს კი თერიმისგან ნაკრები შენოლ გიუნეშმა ჩაიბარა, ვისი თავკაცობითაც გუნდმა ოცდამეერთეს დასაწყისში, კერძოდ 2002 წლის მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავა. თერიმმა კი თავის კარიერაში გაწვრთნა „გალათასარაი“, „ფიორენტინა“ თუ „მილანი“, რაც 2005 წელს ისევ ნაკრებში დაბრუნებით დასრულდა. სხვათაშორის, 2006 წლის იანვარში თერიმს გადადგომა და 11 დღის შემდეგ ისევ თანამდებობაზე დაბრუნება მოუწია — ასეთი საინტერესო ფაქტიც იყო ცნობილი თურქი მწვრთნელის ბიოგრაფიაში. ახლა, წინ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატია...

გურკან დულანოგლუს ფოტო

— მოახლოებულ ევრო 2008-ზეც ვილაპარაკოთ. რას იტყოდით A ჯგუფში თქვენთან ერთად თავმოყრილ გუნდებზე — შვეიცარიას, ჩეხეთსა და პორტუგალიაზე?

— თუ ფიფას რეიტინგს დააკვირდებით, ნახავთ, რომ ჩვენი მეტოქეები ბოლო ორი წლის განმავლობაში დაახლოებით ერთსა და იმავე პოზიციაზე არიან. მართალია, მათ თამაშში მცირე ცვლილებები შეიმჩნევა, მაგრამ მნიშვნელოვან გადასხვაფერებაზე ვერ ვილაპარაკებთ. პორტუგალია ევროპის ბოლო ჩემპიონატზე მეორე იყო, ფიფას რეიტინგში კი მერვე პოზიციაზეა. ჩეხები 1996 წელს იყვნენ ფინალში, რეიტინგის მიხედვით კი მეხუთენი გახლავან. რაც შეეხება შვეიცარიას, ეს გუნდი, მართალია, 44-ე ადგილზეა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია და ეს მისი უპირატესობა გახლავთ, თუმცა ჩვენ ამ შეჯიბრებაშიც თურქული ფეხბურთის განვითარებას ვაპირებთ.

— და ჩემპიონატის ფავორიტად რომელი გუნდები მიგაჩნიათ?

— თანამედროვე ფეხბურთი ისეთია, რომ ჩემპიონობა თექვსმეტივე მონაწილეს შეუძლია. ერთი ქვეყნის გამოყოფა, ვფიქრობ, შეუძლებელია, ხოლო გამარჯვებულს პატარ-პატარა დეტალები გამოავლენს. ერთი სიტყვით, მონაწილეთა შორის დიდი განსხვავება არ არის.

— თურქეთს რისი მიღწევა შეუძლია ევრო 2008-ზე? რას ისახავთ მიზნად?

— ნებისმიერ შეჯიბრებაში, რომელშიც ვმონაწილეობთ, თურქეთის ნაკრების მიზანი რაც შეიძლება წინ წასვლაა. კარგი გუნდი გვყავს, რომელიც ნიჭიერი ფეხბურთელებისგან შედგება და, შესაბამისად, ჩვენი თამაშის ხარისხიც ამ ნიჭზე იქნება დამოკიდებული. შევეცდებით, რაც შეიძლება მეტს მივაღწიოთ.

— თქვენი გუნდის მთავარ მოთამაშეებს ხომ არ დაგვისახელებდით?

— ისევე, როგორც ევრო 2008-ის მონაწილე ნებისმიერ გუნდს, მთავარი მოთამაშეები ჩვენც გვყავს. დიახ, თანამედროვე ფეხბურთში წამყვან ფეხბურთელებს დიდი როლი აქვთ, მაგრამ საკუთრივ თამაშს როგორ წაიყვან, ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია.

— და ბოლო შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, აქვს თურქეთს მსოფლიოს ჩემპიონობის პოტენციალი? რისი მიღწევა შეგიძლიათ საამხრეთ აფრიკაში 2010 წელს?

— დღემდე ყველა ჩემპიონი ან სამხრეთ ამერიკიდან იყო, ანაც ევროპიდან. 2010 წელი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პირველად ფეხბურთის ისტორიაში ჩემპიონატს აფრიკა მასპინძლობს. ამიტომაც, ვფიქრობ, ამ შეჯიბრების მოგების კარგი შანსი აფრიკულ გუნდებს ექნებათ. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კონტინენტზე ფეხბურთი მუდმივად ვითარდება, თუმცა ჩვენ, ბოლო ჩემპიონატის დარად, ევროპული გუნდის გამრჯვება გაგვახარდება.

უბულიკინოდ

„ლევერკუზენის“ ფორვარდი დმიტრი ბულიკინი ბოლოს „გალათასარაისთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩში ვერ დაეხმარება. ფეხბურთელი შაბათს „კარლსრუესთან“ შეხვედრის 41-ე წუთზე დაშავდა და შეცვალეს. მას მარცხენა ფეხის ტრავმა აქვს, რომლის მკურნალობასაც რამდენიმე კვირა დასჭირდება. ბულიკინი „ლევერკუზენში“ შარშან მოსკოვის „დინამოდან“ გადავიდა. ბუნდესლიგის ექვს მატჩში ერთი გოლი გაიტანა, ხოლო უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე „ციურიხთან“ (5:0) დუბლი შეასრულა.

ორმა გააგრძელა

უეფას თასზე „სპორტინგთან“ საპასუხო მატჩის წინ „ბაზელმა“ ორ ფეხბურთელთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 28 წლის მცველი რეტო მანი გუნდში 2011-მდე, 30-ის მეკარე ლუი პრეიტონი კი 2009 წლამდე დარჩება. მანი „ბაზელში“ 2005-ში „თუნდიდან“ გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა. „ბაზელმა“ ლისაბონში გასულ სამშაბათს 0:2 წააგო.

ადრიანომ წაიზიდანა

„სან პაულუში“ გადასულმა ადრიანომ „სანტოსთან“ მატჩში თითქმის ზიდანის ილეთი შეასრულა — მეტოქეს ვერ აგინა და მერე თავი მსუბუქად ჰკრა. „ინტერის“ ყოფილ ფორვარდს 540-დღიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, მაგრამ სადიციპლინო კომიტეტმა მხოლოდ ორმატჩიანი სასჯელი აკმარა. შეგახსენებთ, რომ ადრიანო „ინტერში“ „დაიკარგა“ და კლუბმა იანვარში „სან პაულუს“ ათხოვა.

ფერეირას ხუთწლიანი სიხარული

„ჩელსის“ პორტუგალიელმა მცველმა პაულუ ფერეირამ კლუბთან კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. „მოხარული ვარ, რომ კიდევ ხუთი სეზონი აქ ვითამაშებ — თქვა ფეხბურთელმა — გულშემატკივრები ჩემს მიმართ კეთილგანწყობილნი არიან და მეც კარგი თამაშით ვუპასუხებ“. ფერეირა „ჩელსიში“ 2004 წელს „პორტუდან“ გადავიდა და 85 მატჩი ითამაშა.

ფეირუ დაიღალა

„მარსელის“ ნახევარმცველი ბენუა ფეიურუ უეფას თასზე „სპარტაკთან“ საპასუხო მატჩში გუნდს დააკლდება. პირველ შეხვედრაში (3:0) მოსკოველებს მან გოლიც გაუტანა. „მარსელის“ მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა თქვა, შეირუ გასულ კვირას პსგ-სთან ძალიან დაღლილი ჩანდა და დასვენება სჭირდებაო.

ვაშა ხუციშვილი

უეინი და კოლინი

მილიონერები და ვალენტინობა

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი უეინ რუნი კარგ სამეზობლოში მოხვდა — ჩეშირში, პრესტბერის პრესტიჟულ დასახლებაში, სადაც ვილებს მხოლოდ მილიონერები ყიდულობენ, რუნის ახლომახლო დასახლდნენ 28 წლის ვეს ბრაუნი და 27 წლის ოუენ ჰარგრივსი, ხოლო „იუნაიტედის“ კიდევ ერთმა მოთამაშემ, არგენტინელმა კარლოს ტევესმა 500 მეტრის მოშორებით დაიდო ბინა.

ბრაუნმა თავის საცხოვრებელში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ჰარგრივსმა 4,2 მილიონი, კარლოს ტევესის მამული კი 3 მილიონად არის შეფასებული.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაახლოებულმა მავანმა ადამიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი გუნდი ერთ სოფელში დასახლებას აპირებსო.

„აქაურობას პირველები უეინი და კოლინი მოუშინაურდნენ, მერე კი თითქოს მოდად იქცაო, მთელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრესტბერიში გამოუტია. მაკლერები სიხარულით მეცხრე ცაზე არიან, საკუთარი იღბლისა არც კი სჯერათ.

სხვათა შორის, ბრაუნის აქეთ გადმობარგება -უეინზე მეტად კოლინის ფაქტორმა გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ რუნისა და ბრაუნის მეორე ნახევრები, კოლინი და ლინი დიდი მეგობრები არიან. ახლა, მათი ეზოები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რაიმე საგანი რომ ისროლონ, ჩააგდებენ. მათ ყველაფერი აქვთ, აუზები, დარბაზები და დიდი გარაჟები, სადაც თავიანთ დიდ მანქანებს დააყენებენ“ — თქვა მავანმა.

ხოლო, რაც შეეხება საჩუქრებს, აქ ცოტა სხვანაირად ყოფილა საქმე — ვალენტინობის საჩუქარზე მოგახსენებთ. უეინ რუნის ხსენებულმა საცოლემ დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობა, რომ მისი ვარსკვლავი საქმრო „სიყვარულის დღეს“ მისთვის საჩუქრის მიძღვნას არ აპირებს, რადგან ეს დღე ხალხის მოტყუებად მიაჩნია.

ცნობისთვის: კათოლიკური ეკლესია სცნობს 11 წმინდანს, რომელთაც ერქვათ ვალენტინი, თუმცა, მათგან 14 თებერვალი მხოლოდ ორის ხსენების დღეა. ერთი გახლავთ ვალენტინ რომაელი და მეორე ვალენტინ ტერნელი. ორივე მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა, თუმცა ისტორიულ წყაროებში მათი რაიმენაირი კავშირი „სიყვარულის თემასთან“ არ დასტურდება. ამის მიუხედავად, არსებობს ლეგენდა მავან მღვდელ ვალენტინზე, რომელიც შეყვარებულ წყვილებს იმპერატორ კლავდიუს მეორის მმართველობის წლებში ჩუმად წერდა ჯვარს. მიზეზი: კლავდიუს მეორეს მიაჩნდა, რომ ცოლშვილიანი კაცი უცოლშვილოზე ცუდი მეომარია.

როდესაც იმპერატორმა ვალენტინის მალული მოღვაწეობის ამბავი შეიტყო, მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, სიკვდილმისჯილმა კი განაჩენის აღსრულების წინა დღეს სატრფოს წერილი მისწერა და ამით დაუდო 14 თებერვლის დღესასწაულს საფუძველი.

თუმცა, ამ ისტორიას უეინ რუნისთან არანაირი კავშირი არ აქვს. როგორც ხედავთ, ფეხბურთელი ლეგენდას არც კი სცემს პატივს.

პაპუნა კედია

ცოლები კი...

შერილ კოულის ამბავი ხომ მოგეხსენებათ? ქმარმა, „ჩელსის“ ვარსკვლავმა ეშლიმ ბარში გაცნობილ „ნაშასთან“ უღალატა და ამის შესახებ მთელმა ინგლისმა გაიგო — დღე ისე არ გავიდოდა, გაზეთში სტატია არ გამოეცხოთ.

ერთი სიტყვით, შერილ ენ ტვიდის (პოპ მუსიკის მოყვარულები მას ამ სახელით უფრო იცნობენ, იგი Girls Aloud-ის სოლისტია) მეუღლემ შეურაცხყოფა მიაყენა და როგორც კი ეს მოხდა, პაპარაცებმა ფოტოპარატები მოიმარჯვეს. რატომ? ყველას აინტერესებს, როგორ მოიქცევა ამიერიდან შერილი.

მოქცევით კი მისის კოული ამ დღეებში ასე მოიქცა: Girls Aloud-თან ერთად ლოს ანჯელესში კონცერტებზე ჩასულმა თითზე საქორწინო ბეჭედი არ გაიკეთა და როგორც ამბობენ, ამით თაყვანისმცემელი კაცები გადარია. ისე კი, როგორც წერენ, ამასწინათ, ტაილანდში, კონცერტებზე, მეტისმეტად ნანერვიულებული და გამხდარი ჩანდა.

მთელი ამ ინგლისური საფეხბურთო პოპ-საგიჟეთის დამფუძნებელმა ვიქტორია ბექემმა კი განაცხადა, შესაძლოა SPICE GIRLS-ის გოგოებს შორის არც სიმღერით გამოვირჩევი და არც ცეკვით, მაგრამ ზურგიდან ყველაზე კარგი სანახავი ვარო და ამ სახალისო ხრიკით საკუთარი ჯინსების ფირმის, dVb-ის რეკლამა გააკეთა.

პაპუნა კედია

საიდ ემზადებიდა კევინ კიგანი?

მაიკ ეშლი



ჯიმი გრივსი

აი, რას ცდილობს მაიკ ეშლი: „ნიუკასლ იუნაიტედის“ მეპატრონეს სურს კლუბი იმ კორპორაციას მიჰყიდოს, რომელიც ცოტა ხნის წინ „ლივერპულის“ შეძენას ლამობდა. ერთი სიტყვით, ეშლიმ ფინანსურ ფირმა PCP-ს მიმართა, „დუბაი ინვესტმენტ კაპიტალთან“ მიშუამდგომლეთო. საუბარი იყო ფასზეც, მეპატრონეს უნდოდა „კაჭკაჭები“ არაბებისთვის 300 მილიონად მიესაღებინა, მაგრამ დუბაელებმა პასუხად ცუდი რამ შემოუთვალეს, ეგ თქვენი „იუნაიტედი“ არ გვაინტერესებსო. რას იზამს ახლა მაიკ ეშლი? შეგახსენებთ, რომ სპორტული ტანსაცმლის მილიონერმა მეწარმემ ფეხბურთის კლუბი შარშან 130 მილიონ გირვანქად შეიძინა, მაგრამ ბურთაობა ძნელი და ხარჯიანი საქმეა — გადახდილ 130-ს 100 მილიონი ვალად დაემატა

მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში მისტერ ეშლის კევინ კიგანი გაახსენდა, იფიქრა, მწვრთნელად გამოცდილ კაცს თუ მოვიყვან გამარჯვებებს მივაღწევ, რითაც თავს დავიხსნიო, მაგრამ ვაგლახ, როგორც. ირკვევა, საქმეს არც კიგანი შველის.

შემდეგ, კიგანისთვის მოთამაშეების შემრჩევად მეწარმემ დენის უაიზი გადაიბირა, თუმცა, გაირკვა, რომ არც ამ საქმეს მოაქვს სიმშვიდე.

მაშ, გამოსავალი აღარ ყოფილა? გააჩნია, საქმეს როგორ შევხედავთ. რამდენადაც ინგლისური გაზეთებისთვის არის ცნობილი, არსებობს მავანი კორპორაცია, რომელიც კლუბის შეძენას და მის მწვრთნელად ლეგენდარული ფეხბურთელის ალან შირერის მიყვანას აპირებს, მაგრამ ამაში 250 მილიონ გირვანქას იხდის, ზემოთ კი მოგახსენეთ, რომ კლუბის ახლანდელ მეპატრონეს საკუთრების გაყიდვა 300 მილიონად სურს.

ამასობაში კი მიმომხილველები ტვინს იჭყლეტენ, რა შეიძლება ეშველოთ „კაჭკაჭებს“. აი, მაგალითად, წარსულში ცნობილი თავდამსხმელი, ბოლო წლებში კი ცნობილი ანალიტიკოსი ჯიმი გრივსი (14 თამაში „მილანშიც“ აქვს ნათამაშევი, რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, იქ 57 შეხვედრაში 44 გოლი აქვს გატანილი), წერს, რომ გასულ კვირაში კიგანის 57-ე დაბადების დღე მაინც და მაინც ზარ-ზეიმით აღსანიშნავი რამ სულაც არ გახლდათ.

„გნებავთ საგანგებო „კ“ დაუძახეთ, გნებავთ მაიტი მაუსი, გნებავთ მიკი მაუსი და გნებავთ კინგ კევი, მისი შედეგი, რაც „სენტ ჯეიმს პარკზე“ მოვიდა ასეთია: 0 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, 2 გატანილი, 11 გაშვებული — წერსი გრივსი — კეთილი, ამ თამაშებიდან ორი „არსენალთან“ მოუწია და ნუ ჩავუთვლით, მაგრამ წინა კვირაში „ასტონ ვილასთან“ წაგებულ მეორე ტაიმზე რაღა უნდა ითქვას? განა ეს ჯორდილენდზე შემაშფოთებლად არ უნდა მოქმედებდეს? რაც დრო გადიოდა, კიგანი მით უფრო ფითრდებოდა და აშკარა გახლდათ, რომ არაფრის შემცვლელი არ იყო. ის კი არა, უკვე გამოჩნდა ხალხი, რომელიც კითხულობს, ხომ არ შეცდა მაიკ ეშლი, თანამდებობიდან სეპ ალარდაისი რომ გაუშვა?

მეც ამ ადამიანთა შორის მიგულეთ. მეტსაც გეტყვით, ალარდაისი დღევანდელი ეპოქის მწვრთნელია, კიგანი კი წარსულის კაცი გახლავთ და ამის დასამტკიცებლად, საკმარისია გაიხსენოთ, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობდა „მანჩესტერ სიტი“ მისი ხელმძღვანელობით. ხოლო ამის შემდეგ, კიგანმა თავად განაცხადა, რომ სამი წლის განმავლობაში ერთი თამაშიც არ უნახავს. „ფიქრობ, ასეთი მომზადებით კაცი უმაღლესი რანგის მწვრთნელობას ვერ შეძლებს“.

პაპუნა კედია

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		23 თებერვალი						
19:00	33	უიგანი-დერბი	1.55	3.50	5.60	1.07	1.21	2.15
16:45	34	ბირმინგემი-არსენალი	6.90	3.80	1.40	2.45	1.16	1.02
19:00	37	ფულემი-ვესტ ჰემი	2.40	3.15	2.70	1.36	1.27	1.45
19:00	38	ლივერპული-მიდლსბრო	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
21:15	40	ნიუკასლი-მანჩესტერი	6.90	3.90	1.40	2.49	1.16	1.03
19:00	42	პორტსმუთი-სანდერლენდი	1.55	3.60	5.40	1.08	1.20	2.16
		24 თებერვალი						
16:30	30	რედინგი-ასტონ ვილა	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
19:00	36	ბლეკბერნი-ბოლტონი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
		25 თებერვალი						
23:45	39	სიტი-ევერტონი	2.35	3.15	2.80	1.34	1.27	1.48
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		23 თებერვალი						
19:00	45	უენსდი-კარდიფი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
19:00	46	სტოკი-იფსვიჩი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	47	უოტფორდი-პრესტონი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
19:00	48	ბლეკპული-ჩარლტონი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
19:00	49	ვესტ ბრომვიჩი-ჰალი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
19:00	50	კოლჩესტერი-ბრისტოლი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	51	ქოვენთრი-ლესტერი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	52	კრ. პალასი-ვულვერჰემპტონი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	53	ნორვიჩი-ბარნსლი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
19:00	54	პლიმუთი-ბარნლი	2.10	3.20	3.05	1.26	1.24	1.56
19:00	55	ქარ-შეფილდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	56	სკანთორპი-საუთჰემპტონი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		20 თებერვალი						
23:45	121	მოზერუელი-ინვერნესი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
		23 თებერვალი						
19:00	130	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.85	3.10	3.90	1.15	1.25	1.72
19:00	131	ჰიბერნიანი-ინვერნესი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
19:00	133	მოზერუელი-ჰარტსი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		24 თებერვალი						
19:00	132	კილმარნოკი-აბერდინი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
19:00	134	რეინჯერსი-გრეტნა	1.10	7.00	15.00	1.00	1.02	4.77
18:00	136	სტ.მირენი-სელტიკი	8.40	4.40	1.30	2.88	1.12	1.00
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		23 თებერვალი						
19:00	138	ჰამილტონი-ლივინგსტონი	1.55	3.70	5.10	1.09	1.18	2.14
19:00	139	მორტონი-სტ.ჯონსტონი	3.90	3.50	1.75	1.84	1.20	1.16
19:00	140	პარტიკი-ქუინი	2.70	3.30	2.25	1.48	1.22	1.33
19:00	141	სტირლინგი-დანდი	3.90	3.50	1.75	1.84	1.20	1.16
19:00	142	კლაიდი-დანფერმლაინი	2.70	3.45	2.20	1.51	1.21	1.34
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		23 თებერვალი						
19:00	143	ერდრი-ბერიკი	1.20	5.25	10.50	1.00	1.07	3.50
19:00	144	ალოა-რეითი	2.70	3.50	2.15	1.52	1.19	1.33
19:00	145	ეარი-ბრეჩინი	2.80	3.45	2.15	1.54	1.21	1.32
19:00	146	კოუდენბითი-პიტერჰედი	2.40	3.50	2.40	1.42	1.20	1.42
19:00	147	როსი-ქუინზ პარკი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		23 თებერვალი						
19:00	148	დამბარტონი-არბროთი	2.80	3.50	2.10	1.55	1.20	1.31
19:00	149	ისტ ფაიფი-ელგინი	1.35	4.30	7.20	1.02	1.13	2.69
19:00	150	ფორფარი-ისტ სტირლინგი	2.40	3.40	2.45	1.40	1.21	1.42
19:00	151	მონტროუზი-სტრანრარი	1.90	3.50	3.30	1.23	1.20	1.69
19:00	152	სტენჰაუსმური-ალბიონი	1.80	3.50	3.70	1.18	1.21	1.79
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		22 თებერვალი						
23:30	157	ბოხუმი-ჰანოვერი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
		23 თებერვალი						
18:30	153	აინტრახტი-ვერდერი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
18:30	156	ვოლფსბურგი-ჰერტა	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
18:30	159	შტუტგარტი-კარლსრუე	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
18:30	160	დორტმუნდი-ჰანზა	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
18:30	161	არმინია-დუისბურგი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
18:30	162	ლევერკუზენი-შალკე	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
		24 თებერვალი						
20:00	155	ბაიერნი-ჰამბურგი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
20:00	158	ნიურნბერგი-კოტბუსი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		23 თებერვალი						
20:45	736	გრასჰოპერი-ქსამაქსი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
20:45	737	სტ.გალენი-თუნი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		24 თებერვალი						
19:00	738	ბაზელი-აარაუ	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
19:00	739	ლუცერნი-ციურიხი	3.25	3.20	2.05	1.61	1.25	1.24
19:00	740	იანგ ბოიზი-სიონი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
		იტალია. სერია A						
		23 თებერვალი						
23:30	199	რეჯინა-იუვენტუსი	5.70	3.40	1.55	2.12	1.21	1.06
21:00	206	ტორინო-პარმა	2.00	2.90	3.90	1.18	1.32	1.66
		24 თებერვალი						
18:00	197	სამპდორია-ინტერი	3.60	3.00	1.90	1.63	1.24	1.16
18:00	201	კალიარი-ლაციო	3.00	3.10	2.25	1.52	1.28	1.30
18:00	203	ლივორნო-ნაპოლი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
23:30	204	მილანი-პალერმო	1.50	3.50	6.80	1.04	1.22	2.31
18:00	207	ატალანტა-სიენა	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
18:00	208	ემპოლი-კატანია	1.95	2.90	4.10	1.16	1.32	1.69
18:00	209	რომა-ფიორენტინა	1.75	3.00	4.90	1.10	1.28	1.86
18:00	211	უდინეზე-ჯენოა	1.70	3.10	5.10	1.09	1.27	1.92
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		23 თებერვალი						
23:45	241	სევილია-სარაგოსა	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
23:00	253	ვალენსია-უელვა	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		24 თებერვალი						
22:00	242	ბარსელონა-ლევანტე	1.10	7.40	15.00	1.00	1.02	4.95
20:00	244	ოსასუნა-ატლეტიკო	2.30	3.10	2.35	1.32	1.16	1.33
20:00	246	ბილბაო-ვილიარეალი	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
20:00	248	რასინგი-ალმერია	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
20:00	249	მურსია-ვალიადოლიდი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
20:00	250	მალიორკა-ბეტისი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
23:45	251	რეალი-ხეტაფე	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
20:00	254	დეპორტივო-ესპანიოლი	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		23 თებერვალი						
23:00	266	ნიცა-ოსერი	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
23:00	267	ვალენსიენი-ლე მანი	2.00	3.00	3.65	1.20	1.29	1.64
23:00	268	ნანსი-ლანსი	2.15	2.90	3.40	1.23	1.31	1.56
23:00	272	რენი-ლორიანი	2.00	3.00	3.65	1.20	1.29	1.64
23:00	274	ლიონი-მეცი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
23:00	276	პსჟ-მონაკო	1.95	3.00	3.85	1.18	1.29	1.68
20:10	277	კაენი-სტ.ეტიენი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
23:00	278	სტრასბური-სოშო	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
		24 თებერვალი						
23:45	270	ბორდო-ლილი	1.70	3.20	4.75	1.11	1.25	1.91
22:00	273	ტულუზი-მარსელი	2.70	2.85	2.60	1.38	1.32	1.35
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		22 თებერვალი						
23:30	310	სპარტა-უტრეხტი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
		23 თებერვალი						
23:00	311	ალკმაარი-ტვენტე	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
23:30	312	ექსელსიორი-ტილბურგი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
23:00	313	ჰერაკლესი-ფეიენოორდი	4.55	3.50	1.65	1.97	1.21	1.12
23:00	315	ვიტესი-როდა	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
		24 თებერვალი						
17:30	316	ჰერენვენი-ნაიმეგენი	1.40	4.10	6.50	1.04	1.15	2.51
15:30	318	ბრედა-აიაქსი	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
17:30	319	პსვ-გრააფსხაპი	1.15	6.50	11.00	1.00	1.04	4.08
15:30	321	ვენლო-გრონინგენი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
		საბერძნეთი						
		20 თებერვალი						
17:00	351	ლევადეიაკოსი-ირაკლისი	2.35	2.90	2.90	1.29	1.29	1.45
		23 თებერვალი						
18:45	352	ვეროია-არისი	3.50	2.90	2.05	1.58	1.29	1.20
21:00	353	ასტერას ტრიპოლისი-კალამარია	1.50	3.50	5.85	1.04	1.19	2.18
21:00	354	პაოკ-ოლიმპიაკოსი	3.85	3.15	1.85	1.73	1.24	1.16
		24 თებერვალი						
17:00	355	პანიონიოსი-ერგოტელისი	1.45	3.70	6.60	1.04	1.18	2.37
17:00	356	ქსანთი-ლარისა	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
18:45	357	ოფი-ატრომიტოსი	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
21:00	358	ირაკლისი-აეკ	3.65	3.00	1.95	1.64	1.27	1.18
21:00	735	პანათინაიკოსი-ლევადეიაკოსი	1.10	7.50	14.00	1.00	1.01	4.88

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩემპიონთა ლიგა						
		20 თებერვალი						
23:45	5	სელტიკი-ბარსელონა	4.20	3.20	1.90	1.81	1.30	1.19
23:45	6	ლიონი-მანჩესტერი	3.00	3.20	2.30	1.54	1.30	1.33
23:45	7	არსენალი-მილანი	2.15	3.10	3.50	1.26	1.33	1.64
23:45	8	ფენერბაჰჩე-სევილია	2.60	3.10	2.75	1.41	1.33	1.45
		უეფას თასი						
		21 თებერვალი						
23:45	9	ვილიარეალი-ზენიტი	1.45	3.80	7.00	1.04	1.20	2.46
20:00	11	ლევერკუზენი-გალათასარაი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
23:45	12	ბორდო-ანდერლეხტი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
23:45	13	ევერტონი-ბრანი	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42
20:00	14	ჰამბურგი-ციურიხი	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
21:00	16	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
23:45	17	ტოტენჰემი-სლავია	1.25	5.00	9.50	1.00	1.10	3.27
23:45	19	ჰელსინგბორგი-პსვ	3.30	3.20	2.05	1.62	1.26	1.24
21:45	20	ბაიერნი-აბერდინი	1.15	6.20	15.00	1.00	1.06	4.38
23:45	22	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.30	4.40	9.20	1.00	1.13	2.97
23:45	23	ხეტაფე-აეკ	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	25	ბაზელი-სპორტინგი	2.50	3.10	2.65	1.38	1.28	1.42
23:45	26	ნიურნბერგი-ბენფიკა	2.35	3.10	2.75	1.33	1.26	1.45
23:45	27	ბრაგა-ვერდერი	3.25	3.30	2.00	1.63	1.23	1.24
23:45	28	ატლეტიკო-ბოლტონი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
20:30	29	სპარტაკი-მარსელი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		ინგლისი. Carling Cup						
		24 თებერვალი						
19:00	118	ტოტენჰემი-ჩელსი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. თასი						
		20 თებერვალი						
19:00	123	ჰონკა-ტურკუ	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
		ლიბერტადორესის თასი						
		20 თებერვალი						
23:45	728	არსენალი-ლიბერტადი	1.80	3.25	4.00	1.15	1.24	1.79
23:45	729	მარაკაიბო-ბოკა ხუნიორსი	4.20	3.30	1.75	1.84	1.23	1.14
23:45	731	ამერიკა-უნ. კატოლიკა	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		21 თებერვალი						
23:45	732	სან ლორენსო-კრუზეირო	1.90	3.25	3.60	1.19	1.24	1.70
23:45	733	დეპორტივო-დანუბიო	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	734	ატლასი-კოლოკოლო	1.85	3.25	3.75	1.17	1.23	1.74
		ჰოკეი. რუსეთი						
		20 თებერვალი						
20:00	597	ხიმიკი-სპარტაკი	1.45	4.10	3.80	1.07	1.04	1.97
20:00	598	სევერსტალი-ტორპედო	1.35	4.20	4.70	1.02	1.04	2.21
20:00	599	მოდ-სიბირი	1.35	4.20	4.70	1.02	1.04	2.21
20:00	600	ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი	1.80	3.90	2.60	1.23	1.06	1.55
17:00	601	ლადა-ამური	1.50	4.20	3.50	1.10	1.04	1.90
20:00	602	ლოკომოტივი-მაგნიტოგორსკი	2.00	4.20	2.20	1.35	1.04	1.44
20:00	603	ცსკა-ასკ	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56
20:00	604	აკ ბარსი-ს.იულაევი	1.80	4.20	2.60	1.25	1.06	1.60
20:00	605	დინამო-ვიტიაზი	1.60	4.20	3.10	1.15	1.05	1.78
		21 თებერვალი						
15:00	606	ავანგარდი-ნოვოკუზნეცკი	1.35	4.20	4.70	1.02	1.04	2.21

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10005	სელტიკი-ბარსელონა	5.10	2.10	2.05	1.48	1.46	1.03
10006	ლიონი-მანჩესტერი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10007	არსენალი-მილანი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10008	ფენერბაჰჩე-სევილია	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10009	ვილიარეალი-ზენიტი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10011	ლევერკუზენი-გალათასარაი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10012	ბორდო-ანდერლეხტი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10013	ევერტონი-ბრანი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10014	ჰამბურგი-ციურიხი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10017	ტოტენჰემი-სლავია	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10019	ჰელსინგბორგი-პსვ	3.70	2.00	2.40	1.29	1.45	1.09
10020	ბაიერნი-აბერდინი	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10022	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10023	ხეტაფე-აეკ	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10025	ბაზელი-სპორტინგი	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10026	ნიურნბერგი-ბენფიკა	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10027	ბრაგა-ვერდერი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10028	ატლეტიკო-ბოლტონი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10029	სპარტაკი-მარსელი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11005	სელტიკი-ბარსელონა	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11006	ლიონი-მანჩესტერი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11007	არსენალი-მილანი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11008	ფენერბაჰჩე-სევილია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11009	ვილიარეალი-ზენიტი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11011	ლევერკუზენი-გალათასარაი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11012	ბორდო-ანდერლეხტი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11013	ევერტონი-ბრანი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11014	ჰამბურგი-ციურიხი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11017	ტოტენჰემი-სლავია	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11019	ჰელსინგბორგი-პსვ	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11020	ბაიერნი-აბერდინი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11022	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11023	ხეტაფე-აეკ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11025	ბაზელი-სპორტინგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11026	ნიურნბერგი-ბენფიკა	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11027	ბრაგა-ვერდერი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11028	ატლეტიკო-ბოლტონი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11029	სპარტაკი-მარსელი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12005	სელტიკი-ბარსელონა	1.70	1.90
12006	ლიონი-მანჩესტერი	1.60	2.00
12007	არსენალი-მილანი	1.60	2.00
12008	ფენერბაჰჩე-სევილია	1.80	1.80
12009	ვილიარეალი-ზენიტი	1.70	1.90
12011	ლევერკუზენი-გალათასარაი	1.80	1.70
12012	ბორდო-ანდერლეხტი	1.60	2.00
12013	ევერტონი-ბრანი	1.90	1.70
12014	ჰამბურგი-ციურიხი	1.90	1.70
12016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	1.60	2.00
12017	ტოტენჰემი-სლავია	2.00	1.60
12019	ჰელსინგბორგი-პსვ	1.90	1.70
12020	ბაიერნი-აბერდინი	2.20	1.40
12022	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.70	1.90
12023	ხეტაფე-აეკ	1.60	2.00
12025	ბაზელი-სპორტინგი	1.70	1.90
12026	ნიურნბერგი-ბენფიკა	1.60	2.00

ბაიტანს თუ არა ორივე ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13005	სელტიკი-ბარსელონა	1.70	1.90
13006	ლიონი-მანჩესტერი	1.70	1.90
13007	არსენალი-მილანი	1.70	1.90
13008	ფენერბაჰჩე-სევილია	1.70	1.90

გოლი:ფსვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსვილად)

17005	სელტიკი-ბარსელონა	1.85	1.95
17006	ლიონი-მანჩესტერი	1.85	1.95
17007	არსენალი-მილანი	1.85	1.95
17008	ფენერბაჰჩე-სევილია	1.85	1.95
17009	ვილიარეალი-ზენიტი	1.85	1.95
17011	ლევერკუზენი-გალათასარაი	1.85	1.95
17012	ბორდო-ანდერლეხტი	1.85	1.95
17013	ევერტონი-ბრანი	1.85	1.95
17014	ჰამბურგი-ციურიხი	1.85	1.95
17016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	1.85	1.95
17017	ტოტენჰემი-სლავია	1.85	1.95
17019	ჰელსინგბორგი-პსვ	1.85	1.95
17020	ბაიერნი-აბერდინი	1.85	1.95
17022	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.85	1.95
17023	ხეტაფე-აეკ	1.85	1.95
17025	ბაზელი-სპორტინგი	1.85	1.95
17026	ნიურნბერგი-ბენფიკა	1.85	1.95
17027	ბრაგა-ვერდერი	1.85	1.95
17028	ატლეტიკო-ბოლტონი	1.85	1.95
17029	სპარტაკი-მარსელი	1.85	1.95

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

14005	სელტიკი-ბარსელონა	2.30	1.65
14006	ლიონი-მანჩესტერი	1.95	1.85
14007	არსენალი-მილანი	1.75	2.10
14008	ფენერბაჰჩე-სევილია	1.90	1.90
14009	ვილიარეალი-ზენიტი	1.20	2.60
14011	ლევერკუზენი-გალათასარაი	1.45	2.40
14012	ბორდო-ანდერლეხტი	1.30	2.50
14013	ევერტონი-ბრანი	1.08	2.90
14014	ჰამბურგი-ციურიხი	1.08	2.90
14016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	1.70	2.20
14019	ჰელსინგბორგი-პსვ	2.10	1.75
14022	ფიორენტინა-რუსენბორგი	1.08	2.90
14023	ხეტაფე-აეკ	1.45	2.40
14025	ბაზელი-სპორტინგი	1.85	1.95
14026	ნიურნბერგი-ბენფიკა	1.80	2.00
14027	ბრაგა-ვერდერი	2.20	1.70
14028	ატლეტიკო-ბოლტონი	1.30	2.50
14029	სპარტაკი-მარსელი	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15005	სელტიკი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15006	ლიონი-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15007	არსენალი-მილანი	3.00	2.80	2.00
15008	ფენერბაჰჩე-სევილია	3.00	2.80	2.00
15009	ვილიარეალი-ზენიტი	3.00	2.80	2.00
15011	ლევერკუზენი-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15012	ბორდო-ანდერლეხტი	3.00	2.80	2.00
15013	ევერტონი-ბრანი	3.00	2.80	2.00
15014	ჰამბურგი-ციურიხი	3.00	2.80	2.00
15016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00
15019	ჰელსინგბორგი-პსვ	3.00	2.80	2.00
15023	ხეტაფე-აეკ	3.00	2.80	2.00
15025	ბაზელი-სპორტინგი	3.00	2.80	2.00
15026	ნიურნბერგი-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15027	ბრაგა-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15028	ატლეტიკო-ბოლტონი	3.00	2.80	2.00
15029	სპარტაკი-მარსელი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16005	სელტიკი-ბარსელონა	3.30	1.25
16006	ლიონი-მანჩესტერი	2.05	1.65
16007	არსენალი-მილანი	1.52	2.20
16008	ფენერბაჰჩე-სევილია	1.82	1.82
16009	ვილიარეალი-ზენიტი	1.12	4.60
16011	ლევერკუზენი-გალათასარაი	1.25	3.40
16012	ბორდო-ანდერლეხტი	1.17	4.10
16013	ევერტონი-ბრანი	1.05	5.70
16014	ჰამბურგი-ციურიხი	1.08	5.00
16016	პანათინაიკოსი-რეინჯერსი	1.34	2.80
16019	ჰელსინგბორგი-პსვ	2.30	1.48
16023	ხეტაფე-აეკ	1.23	3.60
16025	ბაზელი-სპორტინგი	1.80	1.85
16026	ნიურნბერგი-ბენფიკა	1.65	2.05
16027	ბრაგა-ვერდერი	2.40	1.45
16028	ატლეტიკო-ბოლტონი	1.14	4.70
16029	სპარტაკი-მარსელი	1.58	2.10

გელა წულაძე: იტალია კარგია, მაგრამ ასე არ უნდა წაგვეგო

თურქეთში საერთაშორისო ტურნირზე მყოფმა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ჯგუფში პირველი სამი შეხვედრა დათმო. იტალიასთან დიდი სხვაობით წაგების შემდეგ ჩვენმა კადეტებმა მომდევნო ორი მატჩი უკეთ ჩაატარეს და წაგების მიუხედავად, საკმაოდ კარგად ითამაშეს: გუშინწინ უკრაინასთან ოვერტაიმში დამარცხდნენ, ხოლო წუხელ რუსეთის მძლავრ ნაკრებთან ბოლო წუთებზე ექვსი ქულა დათმეს. გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საიტზე (gbf.ge) კადეტთა ნაკრების თავკაცთან, გელა წულაძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა...

გელა წულაძე: „ბატონო გელა, მოდით, იტალიასთან შეხვედრით დავიწყოთ. რა გახდა ასეთი დიდი სხვაობით წაგების მიზეზი?

— სიმართლე გითხრათ, ახლა, როდესაც ნაკრებმა უკვე სამი შეხვედრა ჩაატარა, თავადაც გვიჭირს მიზეზების პოვნა. ერთადერთი, რითაც შეიძლება იტალიასთან ასეთი სხვაობით წაგება ავსხნა, ფსიქოლოგიური ფაქტორია და ის, რომ ნაკრებს გაცილებით კარგად შეუძლია გამოსვლა, შემდეგ შეხვედრებშიც გამოჩნდა, როდესაც საკმაოდ ძლიერ რუსეთსა და მებრძოლ უკრაინას კინაღამ მოვუგეთ. თანაც, იტალიელებმა თავიდანვე რაღაც წარმოუდგენელი პროცენტით შეასრულეს სამქულიანები. მოკლედ, ჩვენი დღე არ იყო. შემდეგ, როდესაც ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, თავადაც გაგვიკვირდა, რომ ამდენით წავაგეთ. კარგი, სწრაფი გუნდია იტალია, მაგრამ იგივე ესპანეთთან ახლოსაც ვერ მივა. იტალია მთელი თამაშის განმავლობაში, მთელ მოედანზე მჭიდრო პრესინგს თამაშობს.

— გაცილებით უკეთ ითამაშა ნაკრებმა უკრაინასთან შეხვედრაში...

— უკრაინასთან კარგად წაგვივიდა თამაში და თავიდანვე ჩამორჩენის მიუხედავად, ნელ-ნელა დავალაგეთ ყველაფერი და შეგვეძლო, შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დაგვესრულებინა. ბოლო წუთზე მოვლენები საკმაოდ დრამატულად წარიმართა. ვაგებდით 1 ქულას, როდესაც უკრაინელები ჩვენს საუკეთესო მექულეზე, მერაბ ბოქოლიშვილზე დაჯარიმდნენ. სამწუხაროდ, ბოქოლიშვილმა პირველი საჯარიმო გააფუჭა და მეორე კი გამოიყენა, მაგრამ ამით ანგარიში მხოლოდ გათანაბრდა. უკრაინელებს საპასუხო შეტევისთვის ექვსი წამი რჩებოდათ და ჩვენები მათ ერთ-ერთ მოთამაშეზე ეგრევე დაჯარიმდნენ. გაგვიმართლა, რომ უკრაინელმა ორივე საჯარიმო გააფუჭა და დარჩენილ 5 წამში უკვე ჩვენ შეგვეძლო შეგვეტია, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთი ეგრევე ვერ ავიღეთ და საბოლოოდ, მატჩი დამატებით დროში გადავიდა. სამწუხაროდ, ძირითადის იმ ბოლო შეტევისას, როდესაც უკრაინელებს ორი ჯარიმა ვასროლინეთ, მეხუთე პერსონალური შენიშვნა ბოქოლიშვილმა მიიღო და დამატებითში უკვე მის გარეშე მოგვიხდა თამაში. ბოქოლიშვილი რომ გვყოლოდა, მოგების დიდი შანსი გვრჩებოდა.

— ბოქოლიშვილი ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო მექულეა...

— კი, საკმაოდ კარგად თამაშობს და მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.

— რუსეთთან მის ანგარიშზე 30 ქულაც კი იყო...

— რუსეთთან საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ჩამოვრჩით, თანაც, უკრაინასთან დამქანცველი შეხვედრის შემდეგ დაღლილებიც ვიყავით, არ მეგონა თუ ნაკრები ასე კარგად ჩაატარებდა დასკვნით ნაწილს. წარმოიდგინეთ, ძირითადის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 12 ქულას ვაგებდით, მაგრამ 8 უპასუხო ქულა დავაგროვეთ და საფინალო სირენას 30 წამი რომ აკლდა, ბოქოლიშვილი ორ საჯარიმოს ასრულებდა. სამწუხაროდ, მან ორივე საჯარიმო გააფუჭა. არადა, რომ ჩაეგდო, ორ ქულამდე შემცირდებოდა სხვაობა და დარჩენილ დროში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

— ტურნირი საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს...

— კი, ნამდვილად საინტერესოდ ვითარდება. ძალიან დაძაბული იყო რუსეთისა და იტალიის შეხვედრა, სადაც ერთი კურიოზული ამბავი მოხდა. რუსებმა თამაშიდან ჩაადგეს, მაგრამ ქულები მათ ნაცვლად, იტალიელებს დაუწერეს. მერე, როდესაც რუსების მწვრთნელებმა გადაწყვეტილება გააპროტესტეს და ერთი ამბავი ატეხეს, მსაჯებმა მათ კუთვნილი ქულები კი დაუწერეს, მაგრამ იტალიელებისთვის არ დაუკლიათ. ბოლოში კიდევ, რუსეთი იგებდა, მაგრამ ერთ-ერთმა იტალიელმა ლამის ცენტრთან მიიღო ბურთი, შემოტრიალდა და ჩააგდო. იტალიამაც ასეთი კურიოზული სროლით მოიგო შეხვედრა.

— ვინ მიგაჩნიათ ტურნირის საუკეთესო გუნდად?

— ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერად თურქეთი გამოიყურება, ვისაც, სხვათა შორის, უკრაინამ პირველი ტაიმიც კი მოუგო და მხოლოდ ბოლოში დამარცხდა. ძლიერი გუნდებიც უფრო ჩვენს ჯგუფში არიან შეკრებილნი, მეორე ჯგუფში კი ყველა ყველას უგებს და ფავორიტის გამორჩევაც რთულია.

— ესე იგი, მეოთხე შეხვედრაში ტურნირის მთავარ ფავორიტს ხვდებით?

— კი, თურქეთს ვეთამაშებით, ხოლო ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩში სლოვენიის ნაკრებს შევხდებით.

ამიერიდან დირკ ნოვიცკის ჯეისონ კიდის პასების იმედი იქნება

ჰა, კიდი, ჰა, მოედანი
დალასმა და ნიუ ჯერსიმ ერთმანეთი გაძარცვეს

და მაინც, ჯეისონ კიდი „დალასში“ გადავიდა და ამ კლუბის ამბიციურ ფანებს მადა ერთიორად აღუძრა — ახლა „მავერიკსის“ ნებისმიერი გულშემატკივარი გეტყვით, რომ მათი გუნდის ჩემპიონობა დროის ამბავია და მეტი არაფერი.

რატომ „და მაინც“? წინა კვირაში მთელმა დალასმა ნაადრევად იზეიმა კიდის „დათრევა“. მაშინ ნიუჯერსელი სუპერგამთამაშებლის ტრანსფერის თითქმის ყველა დეტალი შეთანხმებული იყო, მაგრამ ხალხმრავალი „ტრეიდის“ ერთ-ერთმა რიგითმა მონაწილემ კონტრაქტში არსებული ვეტოს უფლება გამოიყენა და თავისი ლიფსიტური უარით ლიგის ერთ-ერთ ღლავს გუნდის გამოცვლის საშუალება არ მისცა.

ეს ლიფსიტა გახლდათ დალასელი დევინ ჯორჯი, რომელსაც იმნაირი სტატუსი ჰქონია კონტრაქტით მინიჭებული, რომ ნებისმიერი იმ გარიგების ჩაშლა ხელეწიფებოდა, რომელშიც თავად იქნებოდა გარეული. ჰოდა, ჯორჯისთვის არ ყოფილა „ნიუ ჯერსიში“ გადასვლა მისაღები და გაცვლა დაუბლოკავს, რომელშიც დალასელთა მხრიდან მის გარდა არაერთი მოთამაშე მონაწილეობდა... კერძოდ, ჯერი სტეკჰაუსი, დევინ ჰარისი, მორის ეიგერი და დესაგანა დიოპი. ბლუს ამას, „მავერიკსი“ თანახმა იყო, „ნეთსისთვის“ რამდენიმე მილიონი და სადრაფტო არჩევანის უფლებები მიეცა. „ნიუ ჯერსიდან“ კი სანაცვლოდ დიდი ჯეისონ კიდი, უვარგისი მალიქ ალენი და მეტი არაფერი მიედინებოდა.

თუმცა, როგორც ვთქვით, ეს გარიგება ჯორჯმა დაბლოკა და დალასელები იმწამსვე დაფაცურდნენ, რათა „შეამბოხე“ ჯორჯი ვინმე მორჩილით შეეცვალათ და მათთვის აგრერიგად საჭირო ჯეისონ კიდი ხელთ ეგდოთ. ჰოდა, მონახეს კიდეც. გარიგებაში დევინ ჯორჯისა და ჯერი სტეკჰაუსის ადგილი ტრენტონ ჰასელმა და ტრავმის გამო იძულებით კარიერადასრულებულმა, თუმც კონტრაქტით კვლავაც დალასელმა კეიტ ვან ჰორნმა დაიკავეს.

მოკლედ, გაცვლამ საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „ნიუ ჯერსიმ“ „დალასში“ გაუშვა ჯეისონ კიდი და მალიქ ალენი, რის სანაცვლოდაც აი, რამდენი ვინმე და რამე მიიღო: რიგიანი გამთამაშებელი დევინ ჰარისი, „დალასში“ დირკ ნოვიცკისგან დაჩრდილული, თუმც არცთუ ურიგო ცენტრი დესაგანა დიოპი, უნივერსალი მორის ეიგერი, უკანახაზელი ტრენტონ ჰასელი, დამტვრეული კეიტ ვან ჰორნი, 3 მილიონი დოლარი და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში ორი არჩევანის უფლება.

„დალასის“ გაღებული ულუფა უფრო მრავალრიცხოვანია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა რაოდენობა არ განსაზღვრავს ხარისხს — ყოველ შემთხვევაში, დალასელებისთვის ასეა, რადგან 3 წლის წინ სტივ ნეშის „ფინიქსში“ გადასვლის შემდეგ მათ ჰაერივით სჭირდებოდათ უმაღლესი დონის გამთამაშებელი.

ეს ტრანსფერი არა მარტო დალასელებისთვისაა გასახარი. ისედაც მტაცებლურ დასავლეთში კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდა და უბრალო გულშემატკივარს გაცილებით დრამატული ბრძოლები ელის პლეი ოფში, ვიდრე თუნდაც კიდის „მავერიკსში“ გადაუსვლელობის შემთხვევაში იქნებოდა.

სხვათა შორის, კიდმა კარიერა „დალასში“ დაიწყო. 1994 წლის დრაფტზე ის ტეხასელებმა აიყვანეს და მომავალმა სუპერვარსკვლავმა სეზონის ახალბედის ტიტული მოიგო. 1996 წელს დალასელებმა კიდი „ფინიქსში“ გაუშვეს, საიდანაც 2001-ში „ნიუ ჯერსიში“ აღმოჩნდა და ეს დავრდომილი გუნდი ნბა-ს ფინალში ორჯერ გაიყვანა.

ფინალში გასვლა და ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში დალასელებსაც და ჩვენც მივაძახოთ — ჰა, კიდი და ჰა, მოედანი.

ირაკლი პერტაია

ათუაშვილმა ესტონეთი გააორა

არ ვიცით, რამდენად გამორჩეული იქნება სერგო ათუაშვილი ტალინის „კალევში“, თუმცა ფაქტია, რომ ამიერიდან ესტონეთში გიორგი ცინცაძე აღარ იქნება ერთადერთი ჩვენებური. ყველაზე მაღალმა ქართველმა კალათბურთელმა ესტონეთის ყველაზე ტიტულიან გუნდთან რამდენიმე დღის წინ გააფორმა კონტრაქტი.

ათუაშვილი აქამდეც ბალტიურ ქვეყანაში, ლიტვაში თამაშობდა, მაგრამ „ალიტას“ შემადგენლობაში თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა — ცოტას ათამაშებდნენ.

ძნელი სათქმელია, მოიპოვებს თუ არა ახალ გუნდში ათუაშვილი სათამაშო დროს, თუმც ერთის თქმა გადაჭრით შეიძლება — „კალევი“ „ალიტაზე“ გაცილებით ძლიერი გუნდია.

ბალტიის ლიგის გასულ ტურში, შესაძლებელი იყო, ქართული დერბი შემდგარიყო, მაგრამ „როკისა“ და „კალევის“ მატჩში მხოლოდ გიორგი ცინცაძემ მიიღო მონაწილეობა — ათუაშვილი სათადარიგო იყო.

ირაკლი პერტაია

მსოფლიო ჩოგბურთელებისაა

ჯერ ჩოგბურთია სპორტი და შემდეგ ყველაფერი ერთად აღებული, მსოფლიო ჩოგბურთელებისაა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ სპორტის მსოფლიო აკადემიის, „ლაურეუსის“ წევრები, რომლებმაც 2007 წლის საუკეთესოები გამოავლინეს და ამ ერთგვარი სპორტული „ოსკარის“ უმთავრესი ლაურეატები, სწორედაც რომ ჩოგბურთელები, როჯერ ფედერერი და ჟუსტინ ენინი გახდნენ.

მსოფლიო სპორტის აკადემიას ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი ედვინ მოზესი თავკაცობს და „აკადემიკოსთა“ 43-კაციან რაზმში სულ დიადი ხალხია — ფრანც ბეკენბაუერი, ბორის ბეკერი, სერგეი ბუბკა, ნადია კომანეჩი, შონ ფიცპატრიკი, ჯონ მაკინროი, დონ ფრეზერი, მარსელ დესაი... აი, ასეთი ლეგენდები ასახელებენ წლის ლაურეატებს და უკვე მეოთხე წელია, მათი არჩევანი ფედერერზე ჩერდება


როჯერ ფედერერი

ჟუსტინ ენინი

„ქურციკები“ წლის საუკეთესო გუნდად აღიარეს

როჯერი მეოთხედ

ზედიზედ მეოთხე წელია, გენიალური შვეიცარიელი როჯერ ფედერერი საუკეთესო სპორტსმენ კაცად სახელდება. შარშან როჯერმა დიდი სლემის სამი ტურნირი (ავსტრალიის ღია პირველობა, უიმბლდონი, აშშ-ს ღია პირველობა) მოიგო და ახლა მის ანგარიშზე, უკვე 12 სლემტიტულია. ამას გარდა ფედერერმა იპირველა სეზონის დამაგვირგვინებელ „მასტერსის“ თასზე და მოიგო „მასტერსის“ სერიის ორი ტურნირი ჰამბურგსა და ცინცინატიში.

ისიც სათქმელია, რომ როჯერმა უიმბლდონზე ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა და ამით ლეგენდარული შვედის, ბიორნ ბორგის რეკორდი გაიმეორა.

ფედერერმა წლის საუკეთესო სპორტსმენი კაცის სახელისთვის ბრძოლაში ბრაზილიელ ფეხბურთელ კაკას, ამერიკელებს — მძლეოსან ტაისონ გაის, მოცურავე მაიკლ ფელპსს, გოლფისტ ტაიგერ ვუდსს და ფინელ ავტომრბოლ კიმი რაიკონენს აჯობა.

94-პროცენტიანი ენინი

2007 წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენი ბელგიელი ჟუსტინ ენინია, რომელმაც შარშან WTA-ს ეგიდით გამართული 10 ტურნირი მოიგო და აქედან ორი დიდი სლემის იყო — საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობები.

ჟუსტინმა 2007 წელს ჩატარებული 67 მატჩიდან 63 მოიგო, რაც 94 პროცენტს შეადგენს და ეს კი ქალ ჩოგბურთელთა შორის 1989 წლის, ანუ შტეფი გრაფის ზეობის შემდეგ საუკეთესო შედეგია.

ენინის უმთავრესი კონკურენტი რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა იყო და მის გარდა ლაურეატობაზე პრეტენზიები შვედ მძლეოსან კაროლინა კლუფტს, ავსტრალიელ მოცურავე ლიბი ლენტონს, ბრაზილიელ ფეხბურთელ მარტას და მექსიკელ გოლფისტ ლორენა ოჩოას ჰქონდათ.

ქურციკთა გუნდი

მსოფლიოს ჩემპიონი, სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრები 2007 წლის საუკეთესო გუნდია. შემოდგომაზე, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე „ქურციკებმა“ ყველა თამაში მოიგეს, ფინალში კი მოქმედი ჩემპიონი ინგლისი 15:6 დაჯაბნეს და ისტორიაში მეორედ მოიპოვეს უძლიერესის წოდება. „აკადემიკოსებმაც“ დააფასეს „ქურციკთა“ გარჯა და მათი ნაკრები ამჯობინეს ჩემპიონთა ლიგისა და საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის მომგებ საფეხბურთო „მილანს“, ასევე მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიის კრიკეტის ნაკრებს, ფორმულა 1-ის ჩემპიონ „ფერარის“, მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიის ფეხბურთელ ქალებს და აზიის ჩემპიონ ერაყელ ფეხბურთელ კაცებს.

ახალი ტონი, ჰემილტონი

„წლის აღმოჩენის“ ტიტული 22 წლის ინგლისელ მეფორმულე ლუის ჰემილტონს ერგო, რომელიც თავის სადებიუტო სეზონში, ოდენ რაღაც უიღბლობის გამო ვერ გახდა ჩემპიონი და მეორეობას დასჯერდა.

„მაკლარენ-მერსედესის“ მრბოლის გარდა, ნომინანტები იყვნენ სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელმაც სეზონი მსოფლიოს მესამე ჩოგნის რანგში დაასრულა, „ტურ დე ფრანსის“ ესპანელი გამარჯვებული ალბერტო კონტადორი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ზემოთ ნახსენები გაი, ავსტრალიელი მოტოჩემპიონი კეისი სტოუნერი და სამხრეთაფრიკელი ოსკარ პისტორიუსი, ვინც ინვალიდი გახლავთ, მაგრამ სპეციალური პროტეზებით დარბის და თანაც, ძალიან სწრაფად.

მარათონი სამშობიაროდან

სახელოვანი ინგლისელი მორბენალი ქალი პოლა რადკლიფი „წლის დაბრუნების“ ლაურეატია. პოლას ზურგის ტრავმისა და შემდეგ მშობიარობის გამო, თითქმის ორი წელი გაუცდა, მაგრამ შარშან შემოდგომაზე მაინც დაბრუნდა და თანაც როგორ — მარათონულ რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ეგრევე მეორე ადგილი დაიკავა ნიუკასლის ნახევარმარათონში და შემდეგ კი ბრწყინვალე სტილში მოიგო უპრესტიჟულესი ნიუიორკის მარათონი.

„აკადემიკოსებმა“ სწორედ რადკლიფი ამჯობინეს ბრიტანეთის ლიგის რაგბის ნაკრებს, ბრიტანელ მძლეოსან კრისტინა ოჰურიგუს, კიდევ ერთ მძლეოსანს, ავსტრალიელ ინნა ბოულინსონს, ამერიკელ გოლფისტ ტაიგერ ვუდსს და ინგლისელ ჯადოსანი-მორაგბე ჯონი უილკინსონს.

ჯიდევ ერთი ჩოგბურთელი

პრემია, შეზღუდული ფიზიკური მონაცემების მქონე საუკეთესო სპორტსმენისთვის, ჰოლანდიელ ჩოგბურთელ ქალ ესტერ ვერგერს გადაეცა. ვერგერი ცხრა წლის ასაკიდან ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული, მაგრამ ეს ჩოგბურთის თამაშში ხელს არ უშლის. შარშან ესტერმა აბსოლუტურად ყველა მატჩი მოიგო, ინვალიდთა „დიდი სლემი“ გააკეთა და ზედიზედ მეორედ გახდა ლაურეატი.

ამ პრემიის სხვა კანდიდატები იყვნენ: ბრაზილიელი მოცურავე დანიელ დიასი და ველომრბოლები — ბრიტანელები დარენ კენი, სარა სტორი და გერმანელი მიხაელ ტოიბერი.

აქტიური უაიტი

„სპორტის აქტიურ სახეობათაგან“ საუკეთესოდ ამერიკელი სკეიტბორდისტი შონ უაიტი დასახელდა, რომელმაც აჯობა სხვა ექსტრავაგანტურ სახეობათა წარმომადგენლებს — ვენესუელელ დანიელ დერსს, ავსტრალიელებს, მიკ ფენინგსა და სტეფანი გილმორს, ბრიტანელ აარენ ჰედლოუს და ამერიკელ რაიან შეკლერს.

განსაკუთრებული ბუბკა

„ლაურეუსის“ ჟიურიმ შვიდ ძირითად ნომინაციაში გამარჯვებულის გარდა, კიდევ სამი სპეციალური პრემია გასცა. ლეგენდარული უკრაინელი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა დაჯილდოვდა „განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“. მსოფლიოს ანტიდოპინგო სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი, კანადელი დიკ პაუნდი „განსაკუთრებული სპორტული სულის“ გამო გამოარჩიეს, ხოლო ამერიკელი ძმები, საერთაშორისო პროექტის — „მოთამაშეები მშვიდობისთვის“ ორგანიზატორები, ბრენდან და შონ ტუოჰოები დაჯილდოვდნენ პრემიით „სპორტი სიკეთის სამსახურში“.

ახალი აკადემიკოსები

და ერთიც — რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში, სადაც გაიმართა კიდეც 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონია, „ლაურეუსის“ მსოფლიო სპორტის აკადემიაში ორი ახალი წევრი მიიღეს — პირველი ფორმულის ორგზის ჩემპიონი ფინელი მიკა ჰაკინენი და რუსი ტანმოვარჯიშე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსეი ნემოვი.

კახა ლომაძე

თქვენი ინტერვიუ

ტიმ ლეინთან

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 23 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი ეროვნული გუნდის პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲡ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲝᲔᲛᲐᲢᲐ: ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ, ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ, ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲐᲓᲠᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

საქართველოს ნაკრებმა ერთკვირიან მონაკვეთში ორი მსოფლიოს თასი მოიარა. საერთო ჯამში ჩვენებმა სამი მედალი მოიპოვეს. პარიზის მსოფლიოს სუპერთასზე 81 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ბაინდურაშვილმა ვერცხლი მოინაგრა; ავსტრიის მსოფლიოს თასზე ვარლამ ლიპარტელიანმა 90 წონით კატეგორიაში ოქრო არავის დაუთმო, საბა გავაშელიშვილი კი 81 წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. ქართველ ძიუდოისტებს საკუთარი ქომაგი ისე ჰყავთ განებივრებული, რომ ორ ტურნირზე სამიოდე მედალი ყველას ეცოტავა. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა კი ამ ამბავს გეგმაზომიერს და ნორმალურს უწოდებს. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელიც ამის შესახებ გვესაუბრა...

— ამ ორ ტურნირზე ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებთ, შედეგებით კმაყოფილი ხართ?

— ჯერ პარიზის ტურნირზე გეტყვით. როგორც მოგეხსენებათ, 81 წონით კატეგორიაში ოლიმპიური ლიცენზია არ გვქონდა და ძირითადი აქცენტი ამ წონაზე გავაკეთეთ. ისე გამოვიდა, რომ ბაინდურაშვილის ვერცხლით ლიცენზია თითქმის გავინაღდეთ. მხოლოდ თეორიული შანსი არსებობს იმისა, რომ პეკინის საგზურში ვინმე სხვა შეგვეცილოს. თვითონ ბაინდურაშვილმა კი მშვენივრად იჭიდავა.

— სატურნირო განაცხადში შეიყვანეთ ზაზა კედელაშვილიც, მაგრამ იგი შეჯიბრზე არ გამოსულა...

— კედელაშვილს ზედმეტი წონა აქვს და მის დატვირთვას მოვერიდეთ, რადგან ამას შეიძლება მისი სპორტული ფორმისთვის ევნო. ზაზა ოლიმპიადისთვის კვლავაც 66 კგ-ში იჭიდავებს.

— ტურნირის შემდეგ პარიზში ნაკრები ოთხდღიან ერთობლივ ვარჯიშებზე დარჩა. როგორ ჩაიარა ამ შეკრებამ?

— ბრწყინვალედ, საუკეთესო მომზადება გავიარეთ. მინდა, გითხრათ, რომ საფრანგეთში გამგზავრების ძირითადი მიზანი 81 კგ-ში ლიცენზიასთან ერთად ამ ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობა გახლდათ. ახალგაზრდებმა ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს, ხოლო გამოცდილი ძიუდოისტები საუკეთესოდ მოემზადნენ.

— როგორ გრძნობს თავს დავით ქევხიშვილი, მას, როგორც ვიცით, ტრავმა აწუხებდა...

— ქევხიშვილი ვარჯიშებზე შემოგვიერთდა. იგი ნელ-ნელა შედის ოპტიმალურ ფორმაში.

— ახლა ავსტრიის მსოფლიოს თასზეც გვითხარით...

— ძალიან კარგად იჭიდავა საბა გავაშელიშვილმა. ვფიქრობ, მას პირველი შეხვედრა წააგებინეს. დანარჩენი ორთაბრძოლები კი ბრწყინვალედ ჩაატარა. ვალერი ლიპარტელიანის გამოსვლამ სასიამოვნოდ გაგვაოცა. თბილისური ტურნირის შემდეგ, მართალი გითხრათ, მისგან რაღაც შედეგს ველოდი, მაგრამ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი უნიჭიერესი მოჭიდავეა და წარმატებული მომავალი ექნება.

— თუ არსებობს იმის შანსი, რომ ლიპარტელიანი ოლიმპიადაზე გაემგზავროს?

— თავადაც მოგეხსენებთ, რამხელა კონკურენციაა 90 კგ წონით კატეგორიაში. ლიპარტელიანს გერმანიის სუპერთასი აქვს საჭიდაო. იქაც თუ თავი ისახელა, მაშინ უკვე ცირეკიძეს, ზვიადაურსა და ლიპარტელიანს შორის მომიწევს პორტუგალიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი კანდიდატურის შერჩევა. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი ტურნირები გვიჩვენებს.

— 81 კგ წონით კატეგორიაში როგორ იქნება საქმე?

— გრიგოლ შინჯიკაშვილი და უჩა ხუციშვილი გერმანიის სუპერთასზე გაემგზავრებიან. გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი — ჩეხეთის მსოფლიოს თასზე. დასკვნებს ამ ტურნირებზე მიღწეული შედეგებიდან გამოვიტანთ.

ძიუდოს ქომაგთ კი შეგახსენებთ, რომ გერმანიაში მსოფლიოს სუპერთასი 22-24 თებერვალს გაიმართება.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ

ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲞᲘᲡᲢᲝᲚ-ᲞᲘᲢᲘ ᲐᲠ ᲨᲐᲜᲒᲓᲔᲑᲐ

ᲞᲘᲢ ᲡᲐᲛᲞᲠᲐᲡᲛᲐ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოქმედ ჩოგბურთელებთან ტოლ-სწორად ჭიდილიც შეუძლია და მათი უმეტესობის ბეჭებზე გაკვრას კიდევ მოახერხებს. ჩოგბურთიდან 5 წლის წასულმა დიადმა ამერიკელმა კიდევ ერთი საგამოფენო შეხვედრა ჩაატარა, ამჯერად სან ხოსეში ტომი ჰაასთან და გერმანელს ისე იოლად გადაურბინა, რომ ბევრი იმაზე ალაპარაკდა, ხომ არ ღირს, პიტი დიდ კორტს დაუბრუნდეზო.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა პირველი სწორედ ეს ჰკითხეს სამპრასს, თუმც მან პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნების ყველანაირი შანსი გამორიცხა:

„რატომ უნდა დავბრუნდე? საამისოდ რაიმე მიზეზი ხომ უნდა მქონდეს. მე არც ყურადღების ცენტრში ყოფნა მინდა და ფულიც საკმარისი მაქვს. აღარაფერს ვამბობ ტრავმების საშიშროებაზე და იმაზე, რომ ოჯახთან ნაკლებად მომიწევს ყოფნა. თანაც ამ მატჩებს ნუ აქცევთ დიდ ყურადღებას — ეს გართობა უფროა.

ჰაასს ამწუთას სხვა რამ აქვს სანერვიულო და ჩემი დღევანდელი გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, მთელი ძალით მოთამაშე ნებისმიერ მოქმედ ჩოგბურთელთან დაპირისპირება მაგრად გამიჭირდება“.

სამპრასი ამას კი ამბობს, მაგრამ ოკეანისგაღმეთში მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ პიტი ბევრ დღევანდელ ჩოგბურთელს აჯობებს, რაც, ამერიკელის თამაშის ფონიდან გამომდინარე, სრულიად რეალურია. ყოველ შემთხვევაში, ჰაასს სამპრასმა ძალიან დამაჯერებლად მოუგო და თავისი უძლიერესი მოწოდებებითა და ბადესთან თითქმის იდეალური თამაშით ის ჩოგბურთელი მოგვაგონა, რომელიც წლების განმავლობაში დომინირებდა კორტებზე.

სამპრასმა თავიდან ცოტა ძძიმედ დაიწყო, მაგრამ თანდათან სულ უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს და გერმანელს სულ უფრო ავიწროვებდა. მეორე სეტის დასაწყისში სამპრასმა ზედიზედ ორჯერ ჩააეისა, რის შემდეგაც ჰაასმა მთელი კორტის გასაგონად მიმართა მეტოქეს:

„ოდნაც მაინც დამინდე, პიტ“.

თუმც როდის ყოფილა, მოგებაზე დაგეშილ სამპრასს ვინმე დაენდოს და ახლაც იგივე მოხდა. მეორე სეტში ამერიკელმა სულ მთლად მიწასთან გაასწორა გერმანელი, რასაც მაყურებელი გამაყრუებელი აპლოდისმენტებით შეხვდა.

„ტრავმის შემდეგ სასურველი ფორმისგან ძალიან შორს კი ვარ, მაგრამ პიტთან დაპირისპირების შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი“ — განაცხადა ნამატჩევს ჰაასმა, რომელიც მრავალნატანჯ მხარს იშუშებს.

ისე, წესით, სამპრასს მარატ საფინთან უნდა ეთამაშა, მაგრამ რუსმა ტრავმა მიიღო და ორგანიზატორებმაც სასწრაფოდ ჰაასით ჩანაცვლეს.

მორიგ საგამოფენო მატჩს სამპრასი 10 მარტს „მედისონ სკვერ გარდენში“ როჯერ ფედერერთან გამართავს და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲛᲣᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲜᲔᲔᲑᲖᲔ

23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ევროპის ერთა თასის მორიგ მატჩში რუმინეთის ნაკრები ესპანეთს შეებრძოლება სტუმრად. მათ სატურნირო ცხრილში თანაბარი — ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

სავარაუდოდ, მომავალი ჯახი თავდაუზოგაობით და დაძაბულობით უნდა გამოირჩეს.

რაკიღა, რუმინელებს თაობათა ცვლა დაეწყოთ, ერთა თასის მოგების იმედიც პრაქტიკულად გადაწურული აქვთ, ეს კი ესპანელებს შანსს აძლევთ.

„მუხის ფოთლების“ თავკაცმა მარინ მოციმ ის ოცდაოთხეული დაასახელა, რომელიც პირიწელებთან შეხვედრისთვის მოემზადება.

რუმინეთის ნაკრები: ნიკოლაე ნერე, იონ პაულიკა, ფლავიუს დობრე, მიჰაი ადასკალიტეი, ბოგდან ზებეგა, მარსელ მიჰალაჩე, ვალენტინ პოპარლანი, ალინ კოსტე, პეტრე კრისტიანი, მიჰაი მაკოვეი, დანიელ კარპ, კოსტიკა მერშოი, ალექსანდრუ გრიგორე, გეორგიცა ისტრატე, იულიან ანდრეი, ვალენტინ კალაფეტეანუ, დანუტ დუმბრავა, იონუტ დიმოფტე, დან ვლადო, ჩაბა გალი, შტეფან ჩუნტუ, გეორგიც ბიჯუ, მარინ ალექსანდრუ, კატლინ ფერკუ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ 23 თებერვალსავე საქართველოს ნაკრები პორტუგალიას ესტუმრება და დიდი იმედიც გვაქვს, რომ თამაშს „ლელოები“ მოიგებენ და ლიდერობას შეინარჩუნებენ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ

ᲐᲜᲐ ᲐᲠᲐ, ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲐᲒᲓᲐ

ᲐᲜᲐ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას თიხნარზე WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე „კოპა კოლსანიტასი“ საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში დასრულდა. ბერძენ ანა გერასიმუსთან იოლი, 6:1 6:0 გამარჯვების შემდეგ, ქართველმა ასევე ორ სეტში, 4:6 4:6 წააგო ესპანელ მარია მარტინეს სანჩესთან და შეჯიბრი დაასრულა.

პორტუგალიური პორტიმაოს ჰარდზე კი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 10-ათასიანი ტურნირი ტარდება. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში 17 წლისა და ურეიტინგო მაგდა ოქრუაშვილმა 6:2 3:6 6:2 სძლია თავის ფრანგ თანატოლ ლეტიცია პრატს. მეორე წრეში მაგდას მეტოქე კვალიფიკანტთა შორის მე-6 ნომრად განთესილი 18 წლის ებრაელი ჯულია გლუშკო იქნება, ვისაც კლასიფიკაციის 734-ე საფეხური უკავია.

როს ბრაუნის სამი წელი



იაპონურ სუპერკონცერნ „ჰონდას“ ყოველთვის ამბიციური საპირველფორმულო გეგმები ჰქონდა და სამეფო რბოლებში დაბრუნება რომ გადაწყვიტეს, იაპონელები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, შარშანწინ ჯენსონ ბატონმა „ჰონდას“ ნანატრი დიდი პრიზიც მოუტანა, თუმცა გაზაფხული ერთ მერცხალს რომ არ მოჰყავს, ეს იაპონელებმაც კარგად იციან. თანაც, შარშანდელი სეზონი „ჰონდასთვის“ კატასტროფული აღმოჩნდა და ნათელი გახდა, რაღაც უნდა შეცვლილიყო.

იაპონელებმა ცვლილებები იმით დაიწყეს, რომ გუნდი თანამედროვე ფორმულა 1-ის ერთ-ერთ უდიდეს მცოდნესა და სტრატეგს, როს ბრაუნს ჩაებარეს, ვინც ბოლო წლებში „ფერარიში“ მუშაობდა და „სუპერიას“ წარმატებათა სულისჩამდგმელთაგანი იყო.

როგორც ირკვევა, ბრაუნმა საკუთარი თავისა და მთლიანად გუნდისთვის სამწლიანი გეგმა შეადგინა და 2010 წელს „ჰონდამ“ უკვე დიდი პრიზებისა და საჩემპიონო ტიტულისთვის უნდა იბრძოლოს.

„მე სამწლიანი გეგმა შევიმუშავე და ეს გეგმა უაღრესად ნათელია. ყველაფერი გასაგებია — ჩვენ ვიცით, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რა თანამიმდევრობით. მთავარია, პროგრესი მუდმივი იყოს და ჩვენი შედეგები დღითიდღე უმჯობესდებოდეს.

როდესაც „ჰონდაში“ მოვედი, გუნდს უკვე ჰქონდა განვითარების საკმაოდ მაღალი, დაახლოებით 80-პროცენტიანი მაჩვენებელი. ახლა მე მინდა, რომ დარჩენილი 20 პროცენტიც ავითვისოთ და ნელ-ნელა პიკზე გავიდეთ.

2009 წელი, რომელიც ჩემი გეგმისთვის შუალედურია, უაღრესად რთული იქნება, რადგანაც 2010 წელს ახალი წესები შევა ძალაში. ბევრი რამის დაწყება სუფთა ფურცლიდან მოგვიწევს, თუმცა კარგმა გუნდმა ყოველთვის კარგი მანქანა უნდა გააკეთოს. კარგი ბოლიდი შემთხვევით არ იქმნება, ის ხანგრძლივი და ინტენსიური სამუშაო პროცესის შედეგია. ამიტომაც, მიუხედავად სავარაუდო სირთულეებისა, 2009 წელი ჩვენთვის ის ტრამპლინი უნდა იყოს, რომლის შემდეგაც ხარისხობრივად ახალ, საჩემპიონო სიმაღლეზე ავალთ“ — განაცხადა როს ბრაუნმა.

** კახა ლომაძე**

მაიკლი ბლიკს არ დაეთანხმა

საპირველფორმულო ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლებიღა დარჩა და რაც უფრო მცირდება დრო სეზონის პირველ დიდ პრიზამდე, მით უფრო იზრდება სხვადასხვაგვარი პროგნოზების რაოდენობა.

საბოლოო ჯამში, ყველა პროგნოზის ძირითადი აზრი ერთია — წლეულს ყველაზე ძლიერი „ფერარი“ იქნება და „სკუდერიას“ „მაკლარენი“ თუ გაუწევს კონკურენციას. ამ ორი ბობოლას შემდეგ კი ცხრა გუნდია და ამ გუნდებთან მიმართებაში პროგნოზებიც იყოფა. მაგალითად, შვეიცარიულ გაზეთ „ბლიკის“ აზრით, მესამე ადგილზე „უილიამს-ტოიოტა“ უნდა გავიდეს და შემდეგ ადგილებს კი, შესაბამისი თანმიმდევრობით, „რენო“, „BMW-ზაუბერი“, „რედ ბული“, „ტორო როსო“, „ტოიოტა“, „ჰონდა“, „ფორს ინდია“ და „სუპერ აგური“ დაიკავებენ.

შვეიცარიელებს არ ეთანხმება „უილიამსის“ ტექნიკური დირექტორი სემ მაიკლი, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ საჯინიბოში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი და „ფერარისა“ და „მაკლარენზე“ აღარ არის საუბარი, ამ ეტაპზე სხვა გუნდებთან ბრძოლაც გაუჭირდებათ.

„ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია ტოპ-გუნდებამდე. მართალია, შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვანი პროგრესი განვიცადეთ და ახალი FW30 საკმაოდ კონკურენტუნარიანი და საიმედოა, მაგრამ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. მთავარია, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ და თუ ასე გავაგრძელებთ, უახლოეს მომავალში ელიტაშიც დავბრუნდებით. ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის, ამ ეტაპზე კი ვეცდებით, მუდმივად ქულათა ზონაში ვიყოთ და პოდიუმებისთვის ვიბრძოლოთ“ — განუცხადა ესპანურ „დიარიო ასს“ სემ მაიკლმა.

კახა ლომაძე

მიკამ მაკენბი შეაქო



წინასასეზონო პროგნოზების აბსოლუტურ უმრავლესობაში ფავორიტად „ფერარი“ მიიჩნევა და „მაკლარენს“ ოდენ სოუსის როლი აქვს მიჩენილი, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ფინელი მიკა ჰაკინენი, რომელმაც 1998-99 წლებში თავისი ორივე ტიტული, სწორედ „მაკლარენის“ ბოლიდებით მოიპოვა.

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ „მაკლარენ-მერსედესი“ წლეულს ძალიან ძლიერი იქნება და ყველა რბოლაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. თანაც, გუნდი მარტო ლუის ჰემილტონზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რადგანაც ჰეიკი კოვალაინენიც ფანტასტიკური მრბოლია და მჯერა, მას უკვე წლეულს ძალუძს არაერთი დიდი პრიზის მოპოვება — ბრძანა ჰაკინენმა, რომელიც, სხვათა შორის, ამას წინათ ცოლს, ერას დაშორდა და იქვე დაამატა, რომ არ აპირებს ლეგენდარული კონკურენტის, მიხაელ შუმახერის მიბაძვას და თავისი ყოფილი გუნდის ტესტებში მონაწილეობას — ეს საჩემო საქმე არ არის, რადგანაც თუ მანქანის ტესტირებას აპირებ, ეს ისეთივე განწყობით უნდა გააკეთო, თითქოს დიდ პრიზზე იღებდე მონაწილეობას. ამისთვის კი მუდმივად ფორმის შენარჩუნებაა საჭირო, რაც კარგა ხანია, აღარ მაინტერესებს“.

კახა ლომაძე

ალონსო ცხვრის ტყავში

„ფრანგები იტყუებიან და რაღაცას მალავენ — ახალი „რენო“ იმაზე გაცილებით სწრაფია, ვიდრე ჩანს“ — განაცხადა ესპანურ „მარკასთან“ ინტერვიუში „ფერარის“ მეორე ტესტ-პილოტმა, ესპანელმა მარკ ჟენემ და დაამატა, რომ მისი თანამემამულე, „მაკლარენიდან“ „რენოში“ დაბრუნებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო კვლავ ტიტულისთვის იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ წინასასეზონო ტესტებზე „რენოს“ ბოლიდები არა თუ „ფერარისა“ და „მაკლარენს“, არამედ სხვა გუნდების მანქანებსაც ჩამორჩებოდნენ და პროგნოზებით, ფრანგულ საჯინიბოს მეორე ეშელონის გუნდებში აქვს მიჩენილი ადგილი.

ამ პროგნოზებს ჟენე კატეგორიულად არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ზამთრის ტესტებისას ფერნანდო ალონსო შეგნებულად აგდებდა საჩქარეს. ამით „რენო“ მეტოქეთა ყურადღების მოდუნებას ცდილობს და უკვე ავსტრალიაში, სეზონის პირველ დიდ პრიზზე, ალონსო კონკურენტუნარიანი იქნებაო.

„დანარჩენებზე ვერაფერს გეტყვით, ხოლო „რენოს“ რაც შეეხება, მათ ჯერ კიდევ შარშან აპრილში იცოდნენ, რომ ცუდი მანქანა ჰყავდათ და უკვე მაშინ დაიწყეს 2008 წლის მოდელზე მუშაობა. ტესტებზე ალონსოს რომ ვუყურებდი, მექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს ვუცქერდი. ფერნანდო ლიდერებში იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ“ — განაცხადა ჟენემ და ამით თანამემამულენიც დააწყნარა, რომლებიც შიშობენ, ჩვენს ჯილას წლეულს უკარგისი მანქანა ჰყავს და საჩემპიონოდ ვერ გაიწევსო.

კახა ლომაძე

რეგულარული ჩემპიონატი

18 თებერვალი

ნიუ ჯერსი 5:1 კაროლინა

2:0 2:1 1:0

1:0 ზეიუკი (3), 2:0 მოტო (8), 3:0 პანდოლფო (22), 3:1 ჰემილტონი (27), 4:1 ოდუია (30), 5:1 პარიზე (60)

აილენდერსი 3:2 სან ხოსე

0:0 0:1 3:1

0:1 გოჩი (23), 0:2 ტორნტონი (43), 1:2 ჯილბერტი (44), 2:2 კომრი (45), 3:2 მეიერი (52)

კოლორადო 0:4 დეტროიტი

0:2 0:2 0:0

0:1 ჩელიოსი (13), 0:2 ფილპულა (20), 0:3 ზეტერბერგი (28), 0:4 ზეტერბერგი (30)

ლოს ანჯელესი 0:4 ფინიქსი

0:2 0:2 0:0

0:1 ჯოვანოვსკი (4), 0:2 ვრბატა (6), 0:3 კარჩილიო (25), 0:4 ვინიკი (33)

ლეგასის კვირა

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვირის საუკეთესო მოთამაშეთა შორის ისევ მეკარეთა სიმრავლეა — გასული შვიდდღეულის სამი ვარსკვლავიდან ორი კიპერია.

პირველ ვარსკვლავად „სენტ ლუისის“ მეკარე მენი ლეგასი დაასახელეს, რომელმაც თავის გუნდს ოთხიდან სამი შეხვედრა მოაგებინა. ლეგასი ამ მატჩებში საშუალოდ 1,49 შაიბას უშვებდა და დარტყმების 95,4 პროცენტს იგერიებდა. კანადელმა განსაკუთრებით შთამბეჭდავად 14 თებერვალს „კოლორადოსთან“ ითამაშა, როცა „ზავთა“ გიჟურ შეტევებს გაუძლო და 43 დარტყმიდან მხოლოდ ერთი გაუშვა.

მთლიანად სეზონში ლეგასიმ 47 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც საშუალოდ 2,26 შაიბას უშვებს (ლიგაში მე-10 შედეგი) და მისი კარისკენ დარტყმულის 91,5 პროცენტს (ლიგაში მე-14 შედეგი) იგერიებს. ამასთან ერთად, ლეგასის ანგარიშზე ოთხი შათაუტია.

მეორე ვარსკვლავად „ნიუ იორკ აილენდერსის“ უკრაინელი თავდამსხმელი რუსლან ფედოტენკო დასახელდა, რომელმაც წინა კვირას 5 ქულა (4+1) მოაგროვა. მიელი წლის განმავლობაში ლეთარგიულ ძილს მიცემულმა ფედოტენკომ, როგორც იქნა, გამოიღვიძა და მასზე გაცემული ავანსების გამარილება დაიწყო. უკრაინელის ათამაშება ლონგ-აილენდის ბინადართ ჰაერივით სჭირდებათ, რადგანაც მათ ყველზე მეტად შეტევაში უჭირთ — „აილენდერსი“ ხომ ლიგის ყველაზე ნაკლებშედეგიანი გუნდია.

მესამე ვარსკვლავობა კი „ძონრეალის“ ახალბედა მეკარე კორი პრაისს ერგო, რომელმაც წინა კვირას „კანადიენსს“ სამივე შეხვედრაში გაამარჯვებინა. ამ მატჩებში პრაისმა საშუალოდ მხოლოდ 1,32 შაიბა გაუშვა და დარტყმულის 96,3 პროცენტი მოიგერია. გარდა ამისა, პრაისმა „ფილადელფიასთან“ შეხვედრაში კარიერაში პირველი შათაუტიც მიითვალა.

კახა ლომაჯვილი

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

მერვეددფინალი. პირველი მატჩები. ფუხელ

რომა 2:1 რეალი

0:1 რაული (8), 1:1 პიზარო (24), 2:1 მანსინი (58)

რომა: დონი, პანუჩი (ტონტტო 67), მექსეში, ფუანი (ფერარი 77), კასეტი, დე როსი, პიზარო (აკვილანი 62), ფუული, პეროტა, მანსინი, ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მ. ტორესი, გუტი, მ. დიარა (დრენტე 79), გაგო, რობენი (ბაპტისტა 79), რაული, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

გაფრთხილება: დიარა, დე როსი, ტორესი, პეროტა, რამოსი, კასეტი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

50 000 მაყურებელი

ლივერპული 2:0 ინტერი

1:0 კუიტი (85), 2:0 ჯერარდი (90)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, აურელიო, ჯერარდი, მასკერანო, ლეივა (კრაუჩი 64), ბაბელი (პენანტი 72), კუიტი, ფ. ტორესი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ინტერი: ფულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა (ბურდისო 76), მატერაცი, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი, კამბიასო, მაქსველი, კრუზი (ვიეირა 55), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კივუ, მატერაცი, მატერაცი

გაძევება: მატერაცი (30)

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

43 000 მაყურებელი

ოლიმპიაკოსი 0:0 ჩელსი

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ფევლაკოვი, ფულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი, ლედესმა, ტოროსიდისი, სტოლტიდისი, გალეტი (ლეონარდო 83), ჯორჯევიჩი (ბელუში 76), კოვაჩევიჩი (ნუნიესი 87)

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი

ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, კარვალიუ, ალექსი, ე. კოული, ქაიენი, მაკელელე, ბალაკი (ლამპარდი 86), მალუდა (ანელკა 75), ჯ. კოული (ს. კალუ 75), დროგბა

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: ალექსი, ბელეტი, მაკელელე, ბელუში, ე. კოული

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

33 000 მაყურებელი

შალკე 1:0 პორტუ

1:0 კურანი (4)

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაინი, ვესტერმანი, ჯონსი, ერნსტი, რაკიტიჩი (გროსმიულერი 76), კობიაშვილი, ასამოა (ალტინტოპი 80), კურანი (სანჩესი 89)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

პორტუ: ელტონი, ფოფუ პაულუ, პ. ემანუელი, ბ. ალვეში, ფუსილე (მ. გონსალესი 85), ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში, ლ. ლოპესი, კვარესმა, ფარიასი (სეკტიუი 56)

მწვრთნელი: ფესუალდო ფერეირა

გაფრთხილება: ჯონსი, ერნსტი, გროსმიულერი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

53 000 მაყურებელი

დე ბლეკერეს იტალიური შეცდომები

ჩემპიონთა ლიგაში ზამთრის არდადეგები დასრულდა. გუშინ მერვედფინალის პირველი რაუნდის ოთხი მატჩი გაიმართა და ოთხივე მათგანში დიდი ბრძოლა იყო. ეს ბუნებრივიცაა — ჯგუფური ტურნირისგან განსხვავებით, საპლეიოფო სტადიაზე სუსტი მეტოქე არ არსებობს და ამა თუ იმ წყვილში ფავორიტობა-აუტსაიდერობის განსაზღვრა ერთობ რთულია. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გამართულ მატჩებში მეტოქეების ასე დახარისხება არაფრით შეიძლებოდა. ერთადერთი, ლონდონის „ჩელსის“ აქვს პრეტენზია, „ოლიმპიაკოსთან“ დაპირისპირებაში ფავორიტად მიიჩნეოდეს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პირეოსული მატჩის საბოლოო შედეგი მოულოდნელი და სენსაციური არანაირად არ ყოფილა. არ არის საჭირო ახსნა, თუ რის გადატანა უწევთ სტუმარი გუნდების ფეხბურთელებს საბერძნეთის სტადიონებზე. „ოლიმპიაკოსის“ ფანებმა „არისტოკრატებს“ მეტად მძიმე 90 წუთი გადააატანინეს. სამართლიანები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მთლიანობაში პირეოსული მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიიღია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნები ბურთს უფრო მეტხანს აკონტროლებდნენ და ოდნავ უფრო სოლიდურადაც გამოიყურებოდნენ. საბოლოოდ, ანტონიოს ნიკოპოლიდისმა და პეტრ ჩეხმა კარის მშრალად შენახვა მოახერხეს, ასე რომ, „ჩელსისა“ და „ოლიმპიაკოსს“ შორის უძლიერესი ლონდონში გამოვლინდება...

ლევან კობიაშვილის „შალკემ“ კი საპასუხო მატჩისთვის ერთბურთიანი უპირატესობა შეიქმნა. „ხუმარებს“ გამარჯვება მათი შეტევების ლიდერმა კევინ კურანიმ მოუტანა. ბუნდესნაკრების ფორვარდმა „პორტუსთან“ თამაშის მე-4 წუთზე თანაგუნდელ რაფინიას უმძლავრესად დარტმული და პორტუელი მეკარე ელტონის მოგერიებული ბურთი სტუმართა კარში დაუბრკოლებლად შეაბრძანა, მეტის გაკეთება კი მასპინძლებმა ვერ შეძლეს.

საპასუხო მატჩს „რომაც“ ერთბურთიანი უპირატესობით შეხვდება, თუმცა „ხუმარებისგან“ განსხვავებით, „მგლებმა“ საკუთარ მოედანზე გოლი გაუშვეს, რაც მათ შანსებს გარკვეულ ჩრდილს აყენებს. „ჯალოროსის“ ეს გოლი „რეალის“ კაპიტანმა გაუტანა. მე-8 წუთზე არიენ რობენმა რომაელთა დაცვა მარცხენა ფლანგიდან გაარღვია, მაგრამ ჰასი უკან, დასარტყმელად გამზადებულ გუტის გაუკეთა, ამ უკანასკნელმა დაარტყა კიდეც, ხოლო რაულმა ჩვეულ სტილში ბურთს მიმართულება შეუცვალა.

„მგლების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და მიუხედავად იმისა, რომ „რეალი“ უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა, თავიანთი თამაშის აწყობას შეეცადნენ. ვიდრე ეს მოხდებოდა, მასპინძლებმა ერთ-ერთი კონტრშეტევა საპასუხო გოლად აქციეს. ამანტინო მანსინი სერხიო რამოსს გაექცა და ფრანჩესკო ტოტის უპასა, კაპიტნამდე ბურთი არ მივიდა, სამაგიეროდ, იქვე დავიდ პისარო გაჩნდა, რომლის დარტყმას მცირე რიკოშეტიც შეეშველა.

მადრიდელებმა გოლის გაშვების შემდეგ უფრო მწვავედ შეუტიეს და სახიფათო მომენტებიც უხვად შექმნეს, მაგრამ გოლი საკუთარ კარში კი მიიღეს. 58-ე წუთზე მანსინიმ ტოტისგან გენიალური პასი მიიღო და კასილიასის მოტყუების შემდეგ გამარჯვების გოლიც გაიტანა. „რეალი“ წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა, თუმცა დამარცხდა და სიტუაციის გამოსწორებას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეეცდება.

ყველაზე დიდი ენებათაღელვა კი „ენფილდ როუდზე“ იყო. ბელგიელმა არბიტრმა ფრანკ დე ბლეკერემ იტალიელ კოლეგებს მიბაძა და „ინტერის“ სასაარგებლოდ არაერთი შეცდომა დაუშვა. სხვა თუ არაფერი, მილანელებს ჟულიო სეზარის საჯარიმოში ბურთი ხელზე სამჯერ მოხვდათ, მაგრამ დე ბლეკერემ პენალტი არცერთ შემთხვევაში არ დანიშნა. „ლივერპული“ სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი მთელი 90 წუთის განმავლობაში იყო და ამაში რაფა ბენიტესის ბიჭებს მარკო მატერაციც შეეშველა. ოდიოზურმა იტალიელმა უკვე 30-ე წუთზე მიახერხა მეორე ყვითელი ბარათის მიღება და „ნერაძურის“ რიცხობრივ უმცირესობაში დატოვება.

გოლები კი დასკვნით 5 წუთში გავიდა. ჟულიო სეზარმა მატჩი ბრწყინვალედ კი ჩაატარა, მაგრამ 85-ე წუთზე დირკ კუიტის დარტყმას ვერაფერი მოუხერხა, ხოლო სულ ბოლოს ბრაზილიელს შეცდომა მერსისაიდელთა კაპიტანმა სტივ ჯერარდმაც დაუშვებინა — 2:0.

სლავა გასპაროვი

ფაბიო კანავაროს „რეალმა“ ფრანჩესკო ტოტის „რომასთან“ წაიბორძიკა

დიდიე დროგბამ პირეოსელ მცველებთან ვერაფერი გააწყო

ლივერპულელმა ფერნანდო ტორესმა ინტერელ მარკო მატერაცის ორი ყვითელი ბარათი აჰკიდა

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIII ტური

უენსდი — ძოვენთრი გადაიდო

საუთჰემპტონი 0:2 პლიმუთი

ვულვზი — სკანთორპი გადაიდო

პირველი ლიგა

გადადებული მატჩები

ბრაიტონი 2:1 ჩელტენჰემი

კარლაილი — ნოტინგემი გადაიდო

ჰადერსფილდი 1:0 მილუოლი

მეორე ლიგა

გადადებული მატჩები

დარლინგტონი — ჩესტერი გადაიდო

ჰარეფორდი — რეიესემი გადაიდო

როჩდეილი — ნოტსი გადაიდო

სტოკპორტი — მანსფილდ გადაიდო

LEAGUE VANS TROPHY

1/2 ფინალი. I მატჩები

სუონსი 0:1 დონსი

მორეკამბი — გრიმსბი გადაიდო

ფინეთი

ლიგის თასი. III ტური

II ჯგუფი

იარო 3:0 ვაასა

უნგრეთი

ლიგის თასის ფინალი

ვაშაში 4:1 დიოშდიორი

ამხანაგური მატჩები

ნორდსიელანდი 0:0 კრილია

პირინი 0:3 ცსკა (ს)

ნალჩიკი 0:1 სტაბეკი

შახტარი 3:0 ვიკინგი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბკლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოვრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge